შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№20 (9.585)

1–8 ივნისი 2013 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ეროვნული ერთობის დღე

დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები საქართველოს 26 ქალაქში აღინიშნა, საზეიმო ღონისძიებათა ნუსხაში მცირე კორექტირება ამინდის გაუარესებამ გამოიწვია, დილიდან საქართველოს რამდენიმე ქალაქში, მათ შორის თბილისში, ქუთაისში, გორში, თელავში კოკისპირულად წვიმდა, რის გამოც დილისა და შუადღისთვის გათვალისწინებული ჩვენებები და პრეზენტაციები დღის მეორე ნახევრისთვის გადაიდო ან დახურულ სივრცეში გადაინაცვლა, ამ მხრივ გამონაკლისი აღმოჩნდა დედოფლისწყარო, წვიმის მიუხედავად, დედოფლისწყაროში უამრავი ადამიანი გამოვიდა ეროვნული დღესასწაულის აღსანიშნავად, ისინი ამინდმაც „დაინდო“ და საზეიმო ღონისძიების დაწყებამდე მზემ გამოანათა, ღია ცის ქვეშ ნამდვილი სახალხო დღესასწაული გაიმართა, ქართული ხალხური რეწვის ნიმუშებისა და სუფრის პრეზენტაციით, პურის, ღვინისა და ფოლკლორის ფესტივალზე, რომელიც წელს პირველად ჩატარდა, მუნიციპალიტეტის ყველა ტერიტორიული ერთეული, სახელოვნებო სკოლა, ფოლკლორული კოლექტივები, ინდივიდუალური შემსრულებლები, ხალხური რეწვის ოსტატები, თვითნასწავლი მხატვრები, მწერლები, ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლები, მუზეუმები, საჯარო სკოლები იყვნენ წარმოდგენილნი, ყველა მათგანი საკუთარი შემოქმედებით, ტრადიციული კერძითა და სასმლით წარსდგა საზოგადოების წინაშე,

(გაგრძელება გვ 3)

კალიების წინააღმდეგ წამლობა მიმდინარეობს

დედოფლისწყაროში მაროკოულ და იტალიურ კალიებს ებრძვიან. საშიშ ზონად წელს ტარიბანა სახელდება, სადაც განსაკუთრებით დიდი რაოდენობის მწერი ფიქსირდება. როგორც სპეციალისტები აცხადებენ, ისინი ცდილობენ, შეწამლონ აღმოჩენილი კერები და ამით გარკვეული ბარიერი შეუქმნან კალიების ჯოგს, რათა საძოვრებიდან ისინი შირაქის ველს და ნათესებს არ შეესივნენ. გაზეთი „შირაქი“ ამ თემაზე სურსათის ეროვნული საგენტოს ფიტოსანიტარული მონიტორინგის და რისკის ანალიზის სამმართველოს უფროსის მოადგილეს მარინა გელაშვილს ***ესაუბრა:***

- დედოფლისწყაროში, კერძოდ კი ტარიბანასა და სამუხის ველზე უკვე შეიწამლა ის ფართობი, სადაც შეინიშნებოდა მაროკოული და იტალიური კალიების გავრცელების არეალი. უკანასკნელი 4-5 წელია, ამ ტერიტორიაზე ვრცელდება კალიის კერები. თავდაპირველად მაროკოული კალია აზერბაიჯანიდან სამუხის ველზე გადმოდიოდა და აქ დაფუძნდა, მოგვიანებით კი ივრის ზეგნიდან ტარიბანის ტერიტორიაზეც გადმოინაცვლა. რაც შეეხება იტალიურ კალიას, მისი გავრცელების არეალს კასრისწყალი, ენამთა და მისი მიმდებარე ტერიტორია წარმოადგენს. დედოფლისწყაროში იტალიური კალიის კერა უკვე შეიწამლა 1000 ჰექტარზე, ხოლო მონიტორინგი ჩაუტარდა 15 000 ჰექტარს. 2000წლის შემდეგ არ ყოფილა ქვეყანაში კალიის ისეთი "აფეთქება", როგორიც დღესაა, რაც გამოწვეულია მზის რადიაციის მომატებით.

მინდა მკითხველს განვუმარტო, რომ არსებობს კალიის ჯოგური და არაჯოგური ფორმა. ერთეული კალიის არსებობა საფრთხის შემცველი ნაკლებადაა, მაგრამ ჯოგური ფორმის არსებობის შემთხვევაში ის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებულ ნათესებს მთლიანად ანადგურებს.

ქალბატონო მარინა, როგორ უნდა განასხვაონ ფერმერებმა და მიწისმფლობელებმა ჩვეულებრივი კალია და კუტკალია მავნებლისგან?

- ველის ჭრიჭინა და კუტკალია ნაკლებად საშიში მწერია, ისინი სადაც იბადებიან, იქვე კვდებიან და ჯოგურ ფორმებს არ ქმნიან. მართალია, ეს მწერიც საფრთხის შემცველია, მაგრამ არა ისე, როგორც მაროკოული ან იტალიური. სამწუხაროდ, პროგრამაში არ ზის მათ წინააღმდეგ ბრძოლა.რაც შეეხება მაროკოულ და იტალიურ კალიებს, მათი ცნობა იმითაა ადვილი, რომ ბევრი ერთადაა თავმოყრილი და მოძრაობენ ერთი მიმართულებით. კალიის საშიშროება კვერცხდებიდან იწყება და ჩვენც ვცდილობთ, გაცილებით ადრეულ, პირველ-მეორე ასაკში დავიჭიროთ და „მოვახრჩოთ“.

- ამ დღეებში თქვენი სამსახური ამინდის გამო შეფერხებულ სამუშაოებზე საუბრობდა...

- სამწუხაროდ, კლიმატურმა პირობებმა ჩვენი გეგმები არია. კოკისპირული წვიმის დროს წამლობა უშედეგოა, რადგან წამლის კონცენტრაციას ვეღარ ვინარჩუნებთ (ნამი წამალს აზავებს). ამინდის გარდა ჩვენი სამუშაოები იმ მესაქონლეებმაც შეაფერხეს, რომლებმაც საძოვრებიდან თავის დროზე არ გაიყვანეს საქონელი. ამჟამად უკვე დაცლილია ფერმები საქონლისგან და წამლობასაც ვახორციელებთ.

გვინდა, ვისარგებლოთ შემთხვევით და თქვენი გაზეთის საშუალებით განვმარტოთ, რომ წყალსატევების მიმდებარე ტერიტორიის დამუშავება მხოლოდ სკაუტით ლოკალურადაა შესაძლებელი. კერების აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდნენ ტელეფონის ნომრებზე: 591 9148 81 ან 591 99 65 16

მაროკოული და იტალიური კალიის წინააღმდეგ წამლობას აწარმოებენ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მთავარი სპეციალისტი იაგო ყოჩიაშვილი, გამგებლის მოადგილე გივი გიგაური, სურსათის უვნებლობის სამმართველოს სპეციალისტი ილია ზურაშვილი. ისინი ყველა შეტყობინებას ეხმაურებიან, წამლობას კი სამანქანო აგრეგატების მეშვეობით ახორციელებენ. სურსათის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტები მავნებლის ძლიერი გავრცელების კერებში წამლობას სპეციალური სამანქანო დანადგარების ე.წ. მიკრონეიერების გამოყენებით განახორციელებენ.

ინგა შიოლაშვილი

დაპირისპირება რელიგიურ ნიადაგზე

გვ. 3

მაწანწალა ძაღლები მომრავლდნენ!

გვ. 4

სიკვდილი პიროვნება რომ ყოფილიყო...

გვ. 5

ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი – ყველაფერი
- მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ!

www. dedoplistskaro. ge

C M Y K

უცხოელთა საკუთრებაში მიწების გადაცემაზე, შესაძლოა, მორატორიუმი გამოცხადდეს

უცხოელებსა და უცხო ქვეყანაში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს გარკვეული პერიოდით - 2017 წლის 1 იანვრამდე, შესაძლოა, მიწებზე საკუთრების მოპოვების უფლება შეუჩერდეთ. ამას „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ კანონში ცვლილებების პროექტი ითვალისწინებს, რომელიც პარლამენტში უკვე ინიცირებულია.

კანონპროექტის ავტორები და ინიციატორები არიან დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ ტყემალაძე, აგრარულ საკითხთა კომიტეტის ხელმძღვანელი გიგლა აგულაშვილი.

პარლამენტში წარდგენილი პროექტის თანახმად, 2017 წლის 1 იანვრამდე კანონის იმ ნაწილის მოქმედება ჩერდება, რომელიც უცხოელებისა და უცხო ქვეყანაში რეგისტრირებული იურიდიული პირებისთვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების მინიჭებას ითვალისწინებს. ამასთან, კანონპროექტით დადგენილი მორატორიუმი არ გავრცელდება უცხოელის საკუთრებაში უკვე არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე.

გარდა ამისა, პროექტის მიხედვით, საქართველოს მთავრობამ ექვსი თვის ვადაში უნდა უზრუნველყოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის მიზნით, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფონდის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო რეგულირების განსაზღვრა, მიწებთან დაკავშირებული ურთიერთობების საჯარო სამართლებრივი მოწესრიგება. ამავე ვადაში მთავრობამ უნდა უზრუნველყოს მიწის კადასტრისა და მიწათმოწყობის ერთიანი სისტემის ორგანიზება საქართველოს მთელს ტერიტორიაზე.

„კანონპროექტის მიზანს წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოება, სუვერენიტეტი, კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობა. ამ მიზნის მისაღწევად უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე საკუთრების მოპოვების უფლება დროებით იზღუდება, ვიდრე ამ მიმართულებით სახელმწიფოს მკაფიო სტრატეგია არ ჩამოყალიბდება“, - განმარტავენ ინიციატივის ავტორები (ინტერპრესნიუსი).

სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ნებართვების გაცემის წესი და პირობები იცვლება

საქართველოს მთავრობის დადგენილებებით, სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ნებართვების გაცემის წესი და პირობები იცვლება. ვეტერინარულ და ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ჩამონათვალი იზრდება, რომლის მიხედვითაც, იმპორტის ნებართვის აღება ბევრ ისეთ პროდუქტს დასჭირდება, რომელიც ასეთი ნებართვის გარეშე შემოდიოდა ქვეყანაში.

სააგენტოს ინფორმაციით, ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ნებართვა გაიცემა ცხოველთა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (OIE) მონაცემების საფუძველზე. აღნიშნული ორგანიზაცია პასუხისმგებელია ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვაზე მსოფლიოში, ასევე, სანიტარულ უსაფრთხოებაზე და მეცხოველეობის პროდუქტების ხარისხზე. აღნიშნულ ორგანიზაციაში გაერთიანებულია მსოფლიოს 178 ქვეყანა, მათ შორის 1996 წლიდან - საქართველოც. წევრი ქვეყნები ვალდებული არიან OIE -ს მიაწოდონ ინფორმაცია ქვეყანაში დაფიქსირებული ცხოველთა გადამდები დაავადებების შესახებ, რომლებიც განსაზღვრულია OIE-ს ნუსხით. ამ ინფორმაციის საფუძველზე რეგულირდება საერთაშორისო ვაჭრობისას თითოეული დაავადების დაფიქსირების შემთხვევაში შესაბამისი შეზღუდვები.

OIE -ს ოფიციალურ საიტზე არსებული ინფორმაციის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის დადგენილებით, განახლდა საშიში ინფექციური დაავადებების, ეპიდემიების, ეპიზოოტიების გავრცელების გამო არაკეთილსაიმედო ქვეყნების ნუსხა, რომლის საფუძველზეც, საქართველოს ტერიტორიაზე ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის/ტრანზიტის და ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტის ნებართვებს გასცემს როგორც სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო, ასევე სსიპ შემოსავლების სამსახური.

დედოფლისწყაროს ჭალის ტყეები ფაქტობრივად აღარ არსებობს



გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის CENN წარმომადგენლის რეზო გეთიაშვილის განცხადებით, წლების განმავლობაში ხე-ტყის უკანონოდ ჭრის გამო დედოფლისწყაროში, ჭალის ტყე ფაქტობრივად აღარ არსებობს, რაც დარჩა იჩეხება, ხელისუფლება კი ამ პრობლემით არ ინტერესდება.

„ჭალის ტყეების საკითხი ძალიან პრობლემურია, მაგრამ ხელისუფლება არ ინტერესდება. ზამთრის დადგომასთან ერთად, ადგილობრივები მუდმივად მიმართავენ ხელისუფლებას რომ შეშით დაეხმარონ, მაგრამ ყურადღებას რომ არავინ აქცევთ, იძულებულები არიან ტყეში ხეები მოჭრან, რადგან სხვა რაიონებიდან მოშორებით არიან და შეშის დედოფლისწყაროამდე ტრანსპორტირება ძვირია. მერე ამაზე უზარმაზარ ჯარიმებს უწერენ ხალხს და ასეთ მდგომარეობაში არიან,“ — აღნიშნა რეზო გეთიაშვილმა.

მისი თქმით, ამ პრობლემასთან დაკავშირებით ორგანიზაციამ არაერთი ანგარიში მოამზადა და შესაბამის ორგანოებს რეკომენდაციებითაც მიმართა, თუმცა უშედეგოდ.

„ჩვენს მიერ მომზადებული ანგარიშები სატყეო დეპარტამენტსაც გადავუგზავნეთ, გარემოს დაცვის სამინისტროსაც, ადგილობრივ მუნიციპალიტეტსაც. შესაბამისი რეკომენდაციებიც დავურთეთ, მაგალითად, ტყეში არის ისეთი ხეები, რომლების მოჭრა მიზანშეწონილია. მოკლევადიანი ღონისძიების სახით, საჭიროა მოინიშნოს ეს ხეები და მოსახლეობას მათი მოჭრის უფლება მიეცეს. რაც შეეხება გრძელვადიან ღონისძიებებს, შესაძლოა მოხდეს ტყის პლანტაციების გაშენება, ან მოსახლეობას, რომელსაც ყოველწლიურად აქვს გათბობის პრობლემა შეღავათები დაუწესონ ელექტროენერგიაზე, რომ ტყე აღარ გაჩეხონ. ხელისუფლება კონკრეტული სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებაზე საუბრობს, მაგრამ ხომ წარმოგიდგენიათ ჯერ როდის შემუშავდება და შემდეგ როდის განხორციელდება ეს სტრატეგია. მესმის, რომ ხელისუფლების სხვა პრიორიტეტებთან მიმართებაში, მაგალითად როგორიც არის ღვინის რუსეთის ბაზარზე გატანა, მოსახლეობის შეშით უზრუნველყოფა საერთოდ არ ჟღერს, მაგრამ ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია და სერიოზულ პრობლემებს ქმნის,“ — განაცხადა რეზო გეთიაშვილმა.

მისი თქმით, ისედაც დეგრადირებული ტყის მასობრივად ჩეხვის გამო ეკოლოგიური ბალანსი ირღვევა, რაც სხვა პრობლემებთან ერთად ალაზნის გადმოვარდნას და ტერიტორიების დატბორვას იწვევს.

„მეცხრე არხის“ ნაცვლად „ობიექტივი“ — დედოფლისწყაროს ანძიდან

„სტერეო+“-მა, რომელიც კახეთში ნოემბრიდან „მეცხრე არხის“ გავრცელებას უზრუნველყოფდა, იმავე სიხშირეზე 29 მაისიდან მედიაკავშირ „ობიექტივის“ რეტრანსლირება დაიწყო. „ობიექტივის“ ტელეგადაცემების ყურება 24 საათის განმავლობაში დედოფლისწყაროს სატელევიზიო ანძიდან ოთახის ანტენების საშუალებით, მეტრულ სიხშირეზე იქნება შესაძლებელი.

როგორც „ობიექტივის“ დამფუძნებელმა, ჟურნალისტმა ირმა ინაშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, მათი გადაცემების ყურება მთელი საქართველოს მასშტაბით სატელიტური თეფშებისა და საკაბელო ტელევიზიების გარეშეც შესაძლებელი იქნება.

„სტერეო+“-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი კობა ბრეგვაძე ჩვენთან საუბრისას განმარტავს, რომ სიხშირე მათია და არა „მეცხრე არხის“, შესაბამისად „სტერეო+“-სს შეუძლია ტელეკომპანიები საკუთარი სურვილის მიხედვით გაავრცელოს.

„არასწორი ინფორმაცია გავრცელდა, თითქოს მეცხრე არხის სიხშირეზე დავჯექით. სინამდვილეში პირიქით იყო. გარკვეული დროის განმავლობაში მეცხრე არხის გადაცემებს ვავრცელებდით, შემდეგ ამ მხრივ იცით, რომ პრობლემები შეგვექმნა და შევაჩერეთ „მეცხრე არხის“ რეტრანსლირება. ახლა სიხშირეებს, რომლებიც მთელი საქართველოს მასშტაბით გვაქვს, კომპანია საკუთარი სურვილისამებრ გამოიყენებს. შეგვიძლია გავავრცელოთ ნებისმიერი არხი, რომელიც ჩვენთვის ხელსაყრელი იქნება,“ — აღნიშნა კობა ბრეგვაძემ.

„სტერეო+“-ის ხელმძღვანელის დავით ზილფიმიანის განმარტებით, მათსა და მედიაკავშირ „ობიექტივს“ შორის გრძელვადიანი ხელშეკრულება გაფორმდა. ამ ეტაპზე რეტრანსლაციის ღირებულებაში გადახდილი თანხის ოდენობა არ კონკრეტდება, თუმცა ადასტურებენ, რომ მათი თანამშრომლობა გრძელვადიანია.

„ეს სიხშირე „მეცხრე არხისთვის“ არავის წაურთმევია, მათ თავად თქვეს უარი. შემდეგ კი „სტერეო+“-მა ჩვენ შემოგვთავაზა და სასიამოვნო სიურპრიზი მოვუწყეთ ტელემაყურებელს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ნებისმიერ ქალაქსა თუ სოფელში 24 საათის განმავლობაში შეძლებენ ჩვენი გადაცემების ყურებას,“ — განუცხადა გაზეთ „შირაქს“ ირმა ინაშვილმა.

გასულ წელს ტელეკომპანია „მეცხრე არხის“ გადაცემების მიღებას კახეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი და საინგილოში მცხოვრები ქართველები ჩვეულებრივი ოთახის ანტენით რამდენიმე თვის განმავლობაში ახერხებდნენ. როგორც დედოფლისწყაროს სატელევიზიო ანძის უფროსმა ალბერტ ალადაშვილმა განაცხადა, დედოფლისწყაროს ანძაზე შესაბამისი თანამედროვე აპარატურა დამონტაჟდა. თავდაპირველად „მეცხრე არხის“ გადაცემების რეგიონებში გავრცელებას სწორედ შპს „სტერეო+“ უზრუნველყოფდა.

„შირაქის“ ინფორმაციით, ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში გადაცემები გათიშული იყო. თუმცა, უკვე რამდენიმე დღეა ამ სიხშირის მეშვეობით მოსახლეობა ჯერ „სტერეო+“-ის გადაცემებს იღებდა, ახლა კი „ობიექტივის“ მაუწყებლობას ადევნებს თვალყურს.

შეგახსენებთ, დედოფლისწყაროს სატელევიზიო ანძამ „მეცხრე არხის“ გავრცელება მეტრულ სიხშირეზე გასული წლის ნოემბრიდან დაიწყო. მანამდე დედოფლისწყაროელებს ოთახის ანტენით მხოლოდ „იმედის“, „რუსთავი2“-ისა და „პირველი არხის“ მიღება შეეძლოთ.

მუსიკალურ-გასართობი ტელეკომპანია „პირველი სტერეო“ ცნობილი სკანდალების შემდეგ, ბოლო რამდენიმე კვირაა, სტერეო+ის სახელით აგრძელებს მაუწყებლობას. ამ კომპანიების ირგვლივ სასამართლო დავა კვლავაც გრძელდება.

ილია მარტყოფლიშვილი

ვაშლოვანის ნაკრძალის ახალი სამოქმედო გეგმა განსახილველად გამოქვეყნდა

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციას ახალი სამოქმედო გეგმა ექნება. თუმცა, დამტკიცებამდე ცალკეული შენიშვნებისა და წინადადებების მისაღებად სამოქმედო გეგმის პროექტი საჯაროდ გამოქვეყნდა.

როგორც გაზეთ „შირაქს“ დაცული ტერიტორიების სააგენტოდან აცნობეს, ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის პროექტი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის „ბიომრავალფეროვნების მდგრადი მართვა სამხრეთ კავკასიაში“ ფარგლებში მომზადდა.

მათივე ცნობით, მის შექმნაში მონაწილეობდნენ დაცული ტერიტორიების სააგენტოს თანამშრომლები და სხვა დაინტერესებული მხარეები.

აღნიშნული გეგმა მომზადდა საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის ბრძანების „დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის სტრუქტურის, შინაარსისა და თემატური ნაწილების შემუშავების მეთოდოლოგიისმომზადების ეტაპებისა და პროცედურის შესახებ“ შესაბამისად.

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის პროექტის ნახვა ნებისმიერ მსურველს ინტერნეტსაიტზე www.qiziyi.ge შეუძლია.

ეროვნული ერთობის დღე

(პირველი გვერდიდან)

26 მაისის დილა სპორტსმენებისათვის სპორტული ინვენტარისა და ტანსაცმლის გადაცემით დაიწყო, მუნიციპალიტეტის გამგებელმა ირაკლი შიოლაშვილმა და კულტურისა და სპორტის ცენტრის დირექტორმა ნინო ბახუტაშვილმა სპორტსმენები მიღწეული წარმატებებისათვის დაასაჩუქრა, შემდეგ ღონისძიებამ ქალაქის ცენტრში გადაინაცვლა, სადაც უამრავი დედოფლისწყაროელი შეკრებილიყო, სახალხო ზეიმში მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ ადგილზე დაეგემოვნებინათ კერძები და დაეჭაშნიკებინათ ღვინო, შეიქმნა სპეციალური ჟიური, რომელსაც საუკეთესო ღვინისა და პურის მწარმოებლები უნდა გამოევლინა, პარალელურად მიმდინარეობდა სპორტული ღონისძიებები, დედოფლისწყაროს პირველ საჯარო სკოლაში გაიხსნა ფიტნეს-კლუბი, სპორტული ფორმები და ინვენტარი გადაეცა სპორტსმენებს, ქალაქ დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლამ მოაწყო ველორბოლა, 12 საათზე საზეიმოდ გაიხსნა „ვინის, პურისა და ფოლკლორის ფესტივალი“, მუნიციპალიტეტის ყველა სოფელი სანიმუშოდ წარსდგა ფოლკლორული კუთხით, ადგილობრივი ხორბლის ფქვილისაგან გამომცხვარი შოთის პურითა და ღვინით, რომლის ხარისხსაც ამოწმებდნენ სპეციალურად შერჩეული, პროფესიონალი დეგუსტატორები-ნოდარ ბაღაშვილი, მაია ბაიდოშვილი, აკაკი ნატროშვილი (ღვინის დეგუსტატორები) , ციცო ფიროსმანაშვილი, ლეილა ბოსტოღანაშვილი და თამარ თამაზაშვილი (პურის დეგუსტატორები) , სახელოსნო „ფესვების“, ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალის, ხალხური რეწვის ნიმუშების, სამუზეუმო ექსპონატების გამოფენა გრძელდებოდა დღის განმავლობაში, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ირაკლი შიოლაშვილმა თანამემამულეებს ეს დღე მიულოცა და მადლობა გადაუხადა ცენტრალურ ხელისუფლებას, რომელმაც ყველა მუნიციპალიტეტს ამ დღის აღნიშვნის საშუალება მისცა და სრულიად საქართველოს მოსახლეობას თავისუფალ და წარმატებულ ქვეყანაში ცხოვრება უსურვა, მოგვიანებით მან კმაყოფილმა აღნიშნა, რომ ღონისძიება ისეთი სახით შედგა, როგორც ჩანაფიქრში იყო, ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე სპეციალურად ამ დღისთვის წარმოდგენილი იყო სახანძრო-სამაშველო სამსახურის, დასუფთავების სამსახურისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, რომლებმაც დედოფლისწყაროს ქუჩებში საზეიმო მსვლელობა მოაწყეს, ღონისძიება გალა-კონცერტით გაგრძელდა, რომელშიც ადგილობრივი თვითმოქმედი ანსამბლები და ინდივიდუალური შემსრულებლები მონაწილეობდნენ, გალა კონცერტზე მუნიციპალიტეტის ყველა სოფლის რწმუნებულს გადაეცა ფასიანი საჩუქარი, საზეიმოდ დააჯილდოვეს პურისა და ღვინის ფესტივალში მონაწილეები, ჟიურის გადაწყვეტილებით, ფესტივალის გამარჯვებულები გახდნენ სოფელ ხორნაბუჯის მკვიდრი დავით შანშიაშვილი, რომელმაც წარმოადგინა საუკეთესო პური, ხოლო საუკეთესო ღვინის მწარმოებლის სტატუსი სოფელ არბოშიკის მკვიდრს მერაბ ალადაშვილს ერგო, ორივე გამარჯვებულს გადაეცა სპეციალური პრიზი, 26 მაისისადმი მიძღვნილი სახალხო ზეიმი კულტურის ცენტრის ეზოში მოწყობილი დისკოთეკით გვიან საღამოს დასრულდა, ფესტივალი დედოფლისწყაროშიც საქართველოს ჰიმნით დაიხურა, ამ დღეს ადამიანებს ერთმანეთი ძალიან უყვარდა, ყველა ერთმანეთს ეფერებოდა და სახლში წასვლა არავის სურდა, ეს იყო მონატრებული ხალხის ერთად ყოფნის სურვილისა და ეროვნული ერთობის დღე,

ინგა შიოლაშვილი

დაპირისპირება რელიგიურ ნიადაგზე

სამთაწყაროში მუსლიმთა პარასკევის ტრადიციული ლოცვა უკვე მეორედ ჩაშალეს. ვითარება მხოლოდ პოლიციის ჩარევის შედეგად განიმუხტა. ადგილობრივებმა 31 მაისს დილიდან გზა გადაკეტეს, ყვიროდნენ, იმუქრებოდნენ და ცდილობდნენ, მუსლიმთა სამმართველოს წარმომადგენლები ტერიტორიაზე არ შეეშვათ. რამდენიმე საათის განმავლობაში მხარეები ერთმანეთის პირისპირ იდგნენ. საბოლოო ჯამში, დაპირისპირება შსს დედოფლისწყაროს პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებმა განმუხტეს, მაგრამ სამთაწყაროს მოსახლეობის ნაწილმა ქვემო ქართლიდან ჩასულ მუსლიმებს ლოცვის საშუალება მაინც არ მისცა.

ადგილზე ჩავიდნენ სახალხო დამცველის აპარატისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც. სავარაუდოდ, სამთაწყაროში იმყოფება დედოფლისწყაროს გამგებელი ირაკლი შიოლაშვილიც.

შეგახსენებთ, რომ ანალოგიური ინციდენტი გასულ პარასკევსაც მოხდა. დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ სამთაწყაროში ადგილობრივებთან დაპირისპირების გამო პარასკევის ლოცვა ჩაიშალა.

ამავე სოფელში მცხოვრებმა ჰერებმა, რომლებიც ქრისტიანები არიან, მუსლიმები მათ საკუთრებაში არსებული შენობიდან ლოცვის დროს გაყარეს. ჰერები სოფელში მუსლიმური სამლოცველო სახლის გახსნის წინააღმდეგები არიან. მუსლიმები დახმარებას ხელისუფლებისგან ითხოვენ.

სამთაწყარო საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრისპირა სოფელია, სადაც აჭარიდან ჩამოსახლებული ეკომიგრანტები და ჰერეთიდან წამოსული ჰერები ცხოვრობენ, რომლებმაც აზერბაიჯანი იმიტომ დატოვეს, რომ ისლამი არ მიიღეს. მოსახლეობის რაოდენობა 1500 ადამიანს აღემატება. წლების განმავლობაში სოფელში მცხოვრებ მუსლიმებსა და ქრისტიანებს შორის დაპირისპირება არ არსებობდა. კონფლიქტი მას შემდეგ დაიწყო, რაც მუსლიმთა სამმართველომ სამთაწყაროში სამლოცველო სახლის გასახსნელად შენობა იყიდა.

სოფელ სამთაწყაროს რწმუნებული გულო ნადირაშვილი ამბობს, რომ სამთაწყარო ქრისტიანული სოფელია, რის გამოც მოსახლეობა წინააღმდეგია, მუსლიმებს სოფელში ლოცვის საშუალება მისცეს.

„წინა დღეებში მუსულმანთა სამმართველოდან წარმომადგენელი იყო, შეხვდა მოსახლეობას, რომ მუსულმანური სამლოცველო გაეხსნათ, მაგრამ მოსახლეობამ გაისტუმრა უარით. არავითარი ზედმეტობა იქ არ ყოფილა. გადავცემთ ჩვენ ორგანიზაციასო და წავიდნენ. დღესდღეობით ერთ მარშუტკას ხოჯებით სავსეს აგზავნიდნენ, პარასკევი დღეა და მუსულმანური ლოცვა რომ ჩაეტარებინათ, მაგრამ მოსახლეობა დახვდა წინ და გზა გადაუკეტეს. მოსახლეობის თითქმის 90%—100% უარზეა, არ უნდათ. ამათ სოფელში ერთი მიტოვებული შენობა შეისყიდეს და აქ სურდათ მუსლიმანური სამლოცველოს გახსნა. სამშენებლო მასალებიც მოიტანეს, რემონტს აპირებდნენ მაგრამ შეაცერეს“, — აღნიშნავს გულო ნადირაშვილმა.

სოფელ სამთაწყაროში დაპირისპირების დროს არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივას“ წარმომადგენელი გიორგი მშვენიერაძე იმყოფებოდა. მისივე თქმით, ის, რაც სამთაწყაროში მოხდა, სისხლის სამართლის დანაშაულია.

„კონსტიტუციის მიხედვით, ყველა პირს აქვს რელიგიის უფლების განხორციელების უფლება, ხოლო სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, დანაშაულად არის გამოცხადებული რელიგიურ რიტუალში ხელის შეშლა. დღევანდელ შემთხვევაში კი იყო კონკრეტული სისხლის სამართლის დანაშაული,“- აღნიშნა გიორგი მშვენიერაძემ.

სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველო იმედოვნებს, რომ დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ სამთაწყაროში მცხოვრებ მუსლიმებს პარასკევის ლოცვის ჩატარების საშუალება მიეცემათ.

იმავე დღესვე სრულიად საქართველოს მუსლიმთა მუფტის მოადგილემ სპეციალური განცხადება გაავრცელა და საზოგადოებას მიმართა თხოვნით, მიეცათ მუსლიმი მოსახლეობისთვის ლოცვის უფლება. საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს მუფტის მოადგილემ ადამ შანთაძემ განაცხადა, მუსლიმთა სამმართველოს აქვს ინფორმაცია, რომ ცალკეული პირები გეგმავენ სამთაწყაროში მიმდინარე პროცესებში ჩართვას და ლოცვის ჩატარების ხელშეშლას.

„ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ცალკეული პირები გეგმავენ სამთაწყაროში მიმდინარე პროცესებში ჩართვას. სრული პასუხიმგებლობით ვაცხადებთ, რომ მათი მცდელობა ემსახურება არა პრობლემის მოგვარებას, არამედ დაძაბულობის ესკალაციას, რაც ჩვენ ნათლად დავინახეთ სოფელ ნიგვზიანის ცნობილი ინციდენტის მაგალითზე. მოვუწოდებთ სოფელ სამთაწყაროს მოსახლეობას არ აყვნენ პროვოკაციას, შეინარჩუნონ სიმშვიდე და არ მისცენ დაინტერესებულ ძალებს იმის საშუალება, რომ მათი რეალური პრობლემების ხარჯზე საკუთარი დივიდენდები მოიპოვონ. სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველო გამოიყენებს ყველა სამართლებრივ გზას რათა დაიცვას საქართველოში მცხოვრები ნებისმიერი მუსლიმის, მოცემულ შემთხვევაში, სოფელ სამთაწყაროში მცხოვრები ეკომიგრანტი ქართველი მუსლიმების უფლებები, რაც შესაძლებელია მხოლოდ დიალოგისა და ურთიერთპატივისცემით“, — განაცხადა საქართველოს მუფტის მოადგილემ.

„გამოვთქვამთ ჩვენს გულისტკივილს დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ სამთაწყაროში ადგილობრივ მაცხოვრებლებს შორის არსებული გაუგებრობის გამო. მოგეხსენებათ, გასულ პარასკევს გარკვეული ჯგუფის წინააღმდეგობის შედეგად მუსლიმებს არ მიეცათ პარასკევის ლოცვის შესაძლებლობა. საკითხთან დაკავშირებით, მე, ჩვენი სამმართველოს რეგიონალურ წარმომადგენელთან ერთად ვიყავი სოფელ სამთაწყაროში, სადაც შევხვდით მოსახლეობის იმ ნაწილს, ვინც წინააღმდეგობას უწევს მუსლიმებს სპეციალურად გამოყოფილ სახლში შეასრულონ პარასკევის ლოცვა, რომელიც მუსლიმური წესების მიხედვით უნდა შესრულდეს ჯგუფურად და რომლის შესრულებაც ინდივიდუალურად ოჯახებში შეუძლებელია. ვაცხადებთ, რომ საქართველოში აღმსარებლობის თავისუფლება დაცულია ქვეყნის უმაღლესი კანონით, კონსტიტუციით და არავის აქვს უფლება წაართვას ვინმეს კანონით მინიჭებული უფლება. საქართველო ოდითგანვე იყო მრავალეთნიკური და მრავალკონფესიური ქვეყანა და ისტორიის მანძილზე ერთხელაც არ ყოფილა დაპირისპირება ეთნიკურ და რელიგიურ ნიადაგზე. ვიმედოვნებ, რომ დიალოგის გზით შესაძლებელია ნებისმიერი უთანხმოების მოგვარება და ქვეყანაში ერთიანი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება”, — განაცხადა ადამ შანთაძემ.

გაჩნდა მოსაზრება, რომ გარკვეული ძალები რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირებას დედოფლისწყაროში ხელოვნურად ამწვავებენ და პროვოცირებას მიზანმიმართულად ცდილობენ.

ილია მარტყოფლიშვილი

გვალვამ მოსავალზე უარყოფითად იმოქმედა

საქართველოს პურის ბელელში წელს საგრძნობი გამოცოცხლება იგრძნობა, შირაქის და ტარიბნის მინდვრებში ბოლო წლებში ალბათ იმდენ ფერმერს და ტექნიკას არ უმოძრავია, რამდენიც წელს ამოქმედდა, რა თქმა უნდა ამაში დიდი წვლილი მთავრობის გადაწყვეტილებას მიუძღვის, რომლის ძალისმევითაც გლეხებმა სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა აამოქმედეს და მისი გამოყენების შესაძლებლობა წელსვე რეალობად აქციეს. ფაქტი სახეზეა, ძალიან ბევრ ადამიანს მიწის ნაკვეთები უსახსრობის გამო მიტოვებული ჰქონდა, ბევრ მათგანს კი გასხვისებული, რადგან თვითონ ველარ უძღვებოდა ხვნა თესვის სამუშაოებს. ამ პროექტმა ყველა სოფლად მცხოვრებს მიწის არსებობა გაახსენა და იმაზე ბრძოლაც ასწავლა, რომ ერთი გოჯი მიწაც არ დაეკარგა. და მოხდა სასწაული, წელს თითქმის ყველა ოჯახმა მოხნა, მარცვლეული დათესა და უკვე მოსავლის მოლოდინშია. დედოფლისწყაროს შირაქის მოსავალს მთელი საქართველო დიდი მოლოდინით შეჰყურებს, ივნისი კარზეა მომდგარი და ყანებიც მალე გაიჭრება, თუ როგორი იქნება მოსავალი, ეს აქაური გლეხი კაცის უპირველესი საფიქრალია.

რამდენიმე ხნის წინ, დედოფლისწყაროს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი გია ბენაშვილი რაიონის თათბირზე აცხადებდა, რომ მოსულ მოსავალს ძალიან უჭირდა ნალექი, გარდა ამისა, ბენაშვილმა აღნიშნა, რომ ყანებს მავნე მწერი შეესია, რომელიც ხორბლის თავთავს ჭამს და ყანას განადგურების საშიშროებას უქმნის, - „კვლავ პრობლემა რჩება შირაქის ყანებში უნალექობა, მოსულ ხორბლის თავთავებს კი ჭარბობს სარეველა მცენარე „გორველა“. ეს ხორბლის ხარისხს დაბლა დასწევს და მისი როგორც რეალიზება, ასევე გამოყენება ძალიან გაჭირდება. ასე, რომ ამ მხრივ არც თუ ისე სახარბიელოდაა საქმე. თუ ნალექი არ მოვიდა, მდგომარეობა ძალზე კრიტიკულია,“-გამოთქვა აზრი გია ბენაშვილმა.

როგორ სოფლის მეურნეები გვეუბნებიან, გვალვებისგან ზოგიერთი ყანა ისეთი დაბალი დარჩა, რომ გამორიცხული არაა კომბაინები ნაკვეთში არც შევიდნენ. ფერმერი ელიზბარ იმერლიშვილი, რომელიც მთელი მინდვრების ზოგად მდგომარეობას კარგად იცნობს, ამბობს, რომ -„ის ხორბლები, რომლებიც შემოდგომის გვალვის გამო გვიან აღმოცენდა, დაბალი დარჩა და ზოგან მართლა ვერ შევა კომბაინი. ამ წვიმებმა ყანების დიდი ნაწილი გადაარჩინა, თუმცა დაგვიანებით მოვიდა და საკმარისი მაინც არ არის. პატარა შირაქში უფრო რთული სიტუაციაა, იქ წვიმები რომც მოვიდეს, ალბათ, უკვე ველარ უშველის. ამიტომ ამ ადგილში ძალიან ცუდი მოსავალი იქნება, ანდა ზოგან საერთოდ არაფერი არ იქნება. მარტის, აპრილის და მაისის შუა რიცხვებამდე ერთხელ მოვიდა წვიმა 16 აპრილს. ამ გვალვებმა ძალიან უარყოფითად იმოქმედა ხორბლის განვითარებაზე, დაახლოებით 30-40 პროცენტით შეამცირა მოსავალი. 16,19 და 20 მაისს ზოგიერთ ადგილში კარგი წვიმა მოვიდა შირაქში, ზოგან ძალიან ცოტა. მაგალითად, შუა შირაქში, შავჭრელებს და ბომბებს რომ ეძახიან, იმ ტერიტორიებზე კარგი წვიმა იყო, ნაზარლებში და პატარა შირაქში ძალიან ცოტა. ამ ადგილებში ყანებს ძალიან უჭირს, მოსავალი რომ მიიღონ, წვიმა აუცილებლად კიდევ უნდა მოვიდეს. რაც შეეხება ბოლო დღეების- 26 -27 მაისის ძლიერ წვიმას, ეს წვიმა შირაქში, შავჭრელების და ბომბების ტერიტორიაზე იყო. ნაზარლებში და პატარა შირაქში კი არ უწვიმია. ამ დღეებში, შირაქში 4 დან 6 საათამდე, ორჯერ-სამჯერ მოვიდა ძალიან ძლიერი წვიმა. ეს წვიმები იმ ყანებს, რომლებიც კარგი იყო, უკვე გარანტირებულ მოსავალს მისცემს. სუსტ ყანებს კი ცოტას გამოაკეთებს. ზოგადად, ასეთი მდგომარეობაა დღეისთვის შირაქში.“

წელს დედოფლისწყაროში რამდენი ჰექტარი მარცვლეულია დათესილი და რა მოსავალს ველით, ამის შესახებ გამგეობის სოფლის მეურნეობის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი გია ბენაშვილის გვპასუხობს:-„ზუსტ მონაცემებს ვერ მოგახსენებთ, რადგან ჩვენი სამსახური ახალი ჩამოყალიბებულია და ჯერ მხოლოდ საბუთების მოკვლევაში ვართ, ბაზაში არ დაგვხვდა თითქმის არანაირი მონაცემი და არანაირი საბუთი. ზოგადად,მოსავალთან დაკავშირებით, გასული წლის მონაცემებს თუ დავეყრდნობით და წლევანდელს შევადარებთ, შარშან სულ 15 ათას ჰექტარზე იყო დათესილი ორივე სახის(ხორბალი და მზესუმზირა) მარცვლეული, ხოლო წელს, მას შემდეგ, რაც ბარათებმა მოსახლეობას შესაძლებლობა მისცა, რომ მოეხნათ და დაეთესათ, გაცილებით უკეთესი სიტუაციაა- 28 000-მდე ავიდა დათესილი ნაკვეთების ოდენობა, რაც შეეხება იმას, თუ, როგორ მოსავალს ველით, წვიმებმა გვალვებისგან ჩამორჩენილი ყანები ცოტა გამოასწორა, ასე, რომ წელს საშუალოზე ცოტა მაღალი ნიშნულის მოსავალს ველოდებით.“-აღნიშნა ბენაშვილმა.

ლალი მეხრიშვილი

სიგნალი

მაწანწალა ძაღლები მომრავლდნენ!

ქალაქის რომელ ქუჩაზეც გინდა გაიაროთ, მაწანწალა ძაღლებით სავსეა. იმის გამო, რომ ცენტრალურ ქუჩებზე შეიცვალა ნაგვის ურნები და ისინი თავდახურულია, მაწანწალების სასუსნავი ნაკლებად იშოვება. ამიტომ ისინი უფრო აგრესიულები გახდნენ და უფრო მეტად იწევენ ადამიანებზე. ძაღლები გამორჩეულად მრავლად არიან ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე. რამდენიმე დღის წინ სწორედ ბაზარში გახლდით, როცა სამი ძაღლი თავს დაესხა მოხუც მამაკაცს და რომ არა შემთხვევით იქვე მყოფი ახალგაზრდები, მოხუცის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას სერიოზული საფრთხე დაემუქრებოდა. ბაზარი, მოგეხსენებათ, ხალხმრავალი ადგილია და ამ ფაქტის თვითმხილველიც ბევრი ადამიანი გახდა. მათ სერიოზული აღშფოთება გამოხატეს ქალაქში მომრავლებული მაწანწალა ძაღლების არსებობის გამო, რაც, ვფიქრობ, სავსებით სამართლიანია. გასაგებია, რომ ძაღლიც ცოცხალი არსებაა და მისი სიცოცხლის ხელოვნური ხელყოფა ცოდვაა, მაგრამ, როცა არ გვაქვს იმის პირობები, რომ გვქონდეს ვოილერები უპატრონო ძაღლებისათვის, მაშინ უკიდურესი ზომებიც დასაშვებია. ისინი საშიშნი არიან არა მარტო ფიზიკურად, არამედ დაავადებათა გადატანა-გავრცელების თვალსაზრისითაც.

ამ ინციდენტიდან რამდენიმე დღის შემდეგ რუსთაველის და თეატრის ქუჩების გადაკვეთაზე მზია ქადაგიძის მაღაზიაში მინდოდა შესვლა. კიბის ძირში ძაღლების მთელი ჯოგი „ნებივრობდა“-ზოგი იწვა და ისვენებდა, ზოგი ერთმანეთს ეთამაშებოდა და აინუშშიც არ აგდებდნენ ადამიანებს, რომლებიც მათი შიშის გამო შორი მანძილიდან უვლიდნენ გვერდს. მტრისას, რომელიმეს ერთი შეეყეფნა და.. ცოცხალი არ გადაურჩებოდათ თავდასხმის ობიექტი. როგორც თქვეს, იქვე მდებარე კორპუსში მცხოვრებ ერთ-ერთ ქალბატონს ძალიან უყვარს ცხოველები, მათ შორის ძაღლებიც. ის ამ ძაღლებს საკვებს აძლევს, მაგრამ, რა თქმა უნდა, არასაკმარისს. აბა, ვის აქვს ამ გაჭირვებულ ცხოვრებაში ხუთი-ექვსი ძაღლის სრულფასოვანი გამოკვების საშუალება!? ამიტომ ეს ძაღლები ქუჩაში დაწანწალებენ „რაციონის შესავსებად“. გვინდა განვუმარტოთ ამ ქალბატონს, რომ დასაგმობი არ არის მისი კეთილი დამოკიდებულება ცხოველების მიმართ, მაგრამ არა ამ ფორმით. თუ ცხოველები უნდა, ისინი შემოფარგლულ ტერიტორიაზე უნდა ჰყავდეს, ანარმოებდეს მათ სანიტარულ-ვეტერინალურ დამუშავებას, რათა ისინი არ წარმოადგენდნენ საფრთხეს ადამიანებისათვის.

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ქალაქი სავსეა მაწანწალა ძაღლებით. ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი ქალაქ დედოფლისწყაროს ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულს ბესიკ ცისკარაულს ვთხოვეთ.

- ჩვენ პირადად არავითარი ბერკეტი და უფლებამოსილება არ გვაქვს მაწანწალა ძაღლების ლიკვიდაციისათვის. ადრე ამ ფუნქციას კომუნალური სამსახური ასრულებდა. როგორც შპს „სერვისი 2007 „-ის ხელმძღვანელი ელიზბარ ალუღიშვილი აცხადებს, მათ ასეთი სამსახური, კარგა ხანია, აღარ აქვთ. ჩვენ ამ საკითხთან დაკავშირებით საუბარი გვქონდა მუნიციპალიტეტის გამგებელთან ირაკლი შიოლაშვილთან. ისიც ნამდვილად შეწუხებულია ამ ამბით ჩვენ არ უარვყოფთ, რომ ძაღლები ძალიან მომრავლდნენ და რომ ამ საკითხს დროული მიხედვა სჭირდება. ამ მხრივ მუშაობა ნამდვილად მიმდინარეობს. ვაწარმოებთ მოლაპარაკებას შესაბამის სამსახურთან, მალე გაფორმდება ხელშეკრულება და დაიწყება მუშაობა. რა ფორმით მოხდება მათი ლიკვიდაცია, ჯერ არ ვიცით. ჩვენი მხრიდან მცდელობას არ დავაკლებთ, რომ დროულად მოვაგვაროთ ეს საკითხი, რომელიც, მართლაც პრობლემას წარმოადგენს მოსახლეობისათვის, განსაკუთრებით ბავშვებისათვის“-თქვა ბესიკ ცისკარაულმა.

ზოგადად, ჩვენ ვიცით, რომ ეს პრობლემა გლობალური კუთხით განიხილება. საერთაშორისო ორგანიზაციები თანხმდებიან იმაზე, რომ ცხოველთა მასიური დახოცვა არაჰუმანურია და არ შეიძლება. არსებობს მათი გაუვნებელყოფის სხვადასხვა გზა. ისინი მიჰყავთ სპეციალურ ვოილერებში, სადაც უვლიან და ინახავენ, რაც საკმაოდ ძვირი უჯდება სახელმწიფოს. ზოგან იჭერენ მაწანწალა ძაღლებს, უკეთებენ აცრებს, შემდეგ კი კასტრირებას, რომ აღარ გამრავლდნენ და ისევ უშვებენ. კომუნისტების დროს კომუნალური სამსახური წელიწადში რამდენჯერმე ატარებდა რეიდს და ქუჩაში მოსიარულე ნებისმიერ ძაღლს კლავდა. იმის დასადასტურებლად, რომ გახარჯულ ტყვიათა რაოდენობა ექვივალენტური იყო მოკლული ძაღლების რაოდენობასთან, აჭრიდნენ ყურს და აბარებდნენ მაკონტროლებელ სამსახურს. დახოცილ ძაღლებს სპეციალურ ადგილზე სიღრმის წესების დაცვით მარხავდნენ. რა გზას შემოგვთავაზებს დღეს ჩვენი ქვეყნის სანიტარული სამსახური, არ ვიცით, ის კი ვიცით, რომ მაწანწალა ძაღლები საზოგადოებისათვის საფრთხეს არ უნდა წარმოადგენდნენ.

ნაირა გორაშვილი

გარემოსდამცველებიც ბავშვები ცხოვრობენ

1951 წლიდან, ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის ინიციატივით, პირველ ივნისს მთელი მსოფლიო ბავშვთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღეს აღნიშნავს. ამ თარიღის დაარსება ომებისა და ძალმომრეობის გმობას, ბავშვთა ექსპლუატაციის თავიდან აცილებას და მომავლის გადარჩენას ემსახურება.

გაერო-ს საერთაშორისო ასამბლეამ ბავშთა დაცვის საერთაშორისო დღედ 30 აპრილი განსაზღვრა, თუმცა, საქართველოში ეს დღე, როგორც სხვა პოსტსაბჭოურ ქვეყნებში, სწორედ პირველ ივნისს აღინიშნება. დიდი მნიშვნელობა არ აქვს, როდის და რა ფორმით აღნიშნავს სახელმწიფო ასეთ თარიღებს, აქ უმთავრესი დამოკიდებულებაა და ის გარემო, რომელშიც ჩვენი ბავშვები ცხოვრობენ.

პირველი ივნისი საყოველთაო თამაშის, მხიარულების, ბავშვთა სოლიდარობისა და თანაგრძნობის თარიღია. ეს ის დღეა, როდესაც ხელისუფლებაც და მთელი სამოქალაქო საზოგადოებაც უნდა დავფიქრდეთ იმაზე, თუ როგორ ვითარდებიან ბავშვები, დაცულია თუ არა მათი უფლებები, აქვთ თუ არა სათანადო განათლების, კულტურილი აღზრდა-განვითარების, თავისუფალ და ძალდაუტანებელ, ჰარმონიულ გარემოში ცხოვრების შესაძლებლობა.

პირველ ივნისს დედოფლისწყაროში ყოველთვის იმართებოდა სხვადასხვა სახის კულტურული ღონისძიებები. წელსაც დაგეგმილი ღონისძიებები უამინდობის გამო რამდენიმე დღით გადაიდო,მაგრამ 3 ივნისს კულტურის სახლსა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ჩატარდება ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი სხვადასხვა ღონიძიება, ხოლო ბაგა-ბაღებში შემდგომ დღეებში გაგრძელდება.

ბოლოს, გაზეთ ,,შირაქის'' სახელით, ყველა ბავშვს საქართველოსა და რა თქმა უნდა,დედოფლისწყაროში, მშვიდობას, კეთილდღეობას, ჯანმრთელობას და სიკეთეს ვუსურვებთ. დაე, მათ სრულფასოვნად, დაუბრკოლებლად და შეუზღუდავად ჰქონდეთ ის მინიმალური შესაძლებლობები, რომელიც ყოველ მათგანს სჭირდება.

ელზა ხარაშვილი

ინგლისურ კონკურსში გამარჯვებულები

სიკვდილი პიროვნება რომ ყოფილიყო...

ინგლისურ ენაზე თავისუფალი თემის კონკურსი Write On! საქართველოში მშვიდობის კორპუსის მოხალისეების მიერ 2004 წელს შეიქმნა. დღეისათვის ეს უკვე საერთაშორისო კონკურსია, რომელსაც მშვიდობის კორპუსი 11 ქვეყანაში ატარებს. წელს საქართველოდან 1,179 საკონკურსო თემა სკოლის მოსწავლეებმა და სტუდენტებმა წარადგინეს. ერთ-ერთულ კონკურსში 30 გამარჯვებული გამოვლინდა, ხოლო საერთაშორისო კონკურსში საქართველოს ოთხმა წარმომადგენელმა გაიმარჯვა. ქვეყნის მასშტაბით ყველაზე მეტი გამარჯვებული დედოფლისწყაროს პირველ სკოლას ჰყავს, მათ შორის პირველი ადგილის მფლობელი. ოთხ გამარჯვებულს შორის საერთაშორისო კონკურსში გამარჯვებულია ქალაქ დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის მოსწავლე სოსო ჩუთლაშვილი. ხოლო, ამავე სკოლის მოსწავლეები ბესო ბერიკელაშვილი, გიორგი თურქესტანიშვილი და სანდრო ბეგიაშვილი ერთ-ერთულ კონკუსში გამარჯვებულებად გამოაცხადეს.

გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, საერთაშორისო კონკურსში გამარჯვებულმა სოსო ჩუთლაშვილმა მოამზადა თემა: „სიკვდილი პიროვნება რომ ყოფილიყო, როგორი იქნებოდა?“

კონკურსში მონაწილეებს მოსამზადებელი თემის სათაურები ორგანიზატორებმა მისცეს, რის შემდეგაც მოსწავლეებს თემა ინგლისურ ენაზე საათნახევრის განმავლობაში უნდა მოემზადებინათ.

„წინასწარ არ ვიცოდით, რა თემები შეგვხვდებოდა. სათაურები მოულოდნელად დაგვირიგეს და მაშინვე უნდა დაგვეწერა. არ ვიცი, სხვებმა როგორ დაწერეს, მაგრამ მე თემა პირდაპირ ინგლისურ ენაზე დავწერე. მინდა ვთქვა, რომ შეფასებისას მთავარი კრიტერიუმი შემოქმედებითობა იყო. ადვილად დავწერე და საათნახევრის ნაცვლად თემა ნახევარ საათში ჩავაბარე. არ ვიცი ყველაზე ძალიან რა მოეწონათ ჩემს ნამუშევარში, მაგრამ ალბათ ის, რომ საჭირო დოზით იყო გაჯერებული იუმორითაც და სევდითაც... რაც შეეხება საკონკურსო თემის მოკლე შინაარსს, აღწერილი მქონდა არა მარტო გარეგნობა, არამედ სიკვდილის სულიერი განცდებიც. ჩემს თემაში სიკვდილი უბრალოდ ასრულებდა თავის სამუშაოს, მაგრამ არ მოსწონდა ის. შესტკიოდა გული ადამიანებზე, მაგრამ არჩევანი არ ჰქონდა, იძულებული იყო, მასზე დაკისრებული მოვალეობა შეესრულებინა. მთავარი ფრაზა, რომლითაც თემა დავასრულე, იყო შემდეგნაირი: სიკვდილი პიროვნება რომ ყოფილიყო, ყველას შეეჯავრებოდა ის და არავინ იკითხავდა, მოსწონს თუ არა მას თავისი სამუშაო. რადგან სიკვდილი პიროვნება იყო, ადამიანური განცდები შევაძენინე და საინტერესო ნამუშევარი გამოვიდა,“ - აცხადებს გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას კონკურსის გამარჯვებული სოსო ჩუთლაშვილი.

23 მაისს ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა ბრიჯიტ ბრინკმა Write On! კონკურსის ქართველ გამარჯვებულებს საკუთარ სახლში უმასპინძლა. ბრიჯიტ ბრინკმა გამარჯვებულებს პირადად მიულოცა და სიამოვნებით მოისმინა მათი თემების და შთაგონებების შესახებ.

„ვულოცავ Write On!-ის ყველა გამარჯვებულს. თქვენი ისტორიები ახალგაზრდა ადამიანის შემოქმედებითობის და წარმოსახვის უდიდეს ძალას შეგვახსენებს. იმედს ვიტოვებ, რომ ეს კონკურსი მუდმივად გაფართოვდება საქართველოში და მთელს მსოფლიოში.“ - აღნიშნა ბრიჯიტ ბრინკმა.

„რაც შეეხება ამ კონკურსში მონაწილეობას, მინდა გითხრათ, რომ ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო „WRITE ON!-ის“კონკურსში გამარჯვება, რადგან ინგლისური ენა ჩემი ერთ-ერთი საყვარელი საგანია და დიდი სურვილი მქონდა, რომ წარმატებას მიმეღწია. უბრალოდ საპრიზო ადგილზე გასვლაც გამიხარდებოდა, მაგრამ როცა გავიგე, რომ საქართველოს მასშტაბით პირველ ადგილზე გავედი, ხოლო საერთაშორისო კონკურსში კი მეორე ადგილი დავიკავე, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. სასიამოვნო იყო ისიც, რომ ჩვენს სკოლას ყველაზე მეტი, ოთხი, საპრიზო ადგილის მფლობელი ჰყავდა მთელს საქართველოს სკოლებს შორის. ასევე მოგებისთვის უდიდეს სტიმულს მაძლევდა ის, რომ გამარჯვების შემთხვევაში ელჩთან ვიქნებოდი მიწვეული საპატიო სტუმრის სტატუსით. ცხადია, ჩემთვის დიდი პატივი იყო ასეთი წარმატებული ხახლის გაცნობა. გავიცანი ელჩის მოვალეობის შემსრულებელს ბრიჯით ბრინკი. მან პირადად მოგვილოცა გამარჯვება და თავისი გამოცდილება გაგვიზიარა, რჩევები მოგვცა, თუ როგორ მივაღწიოთ წარმატებას. წელს სკოლას ვამთავრებ და ძალიან გამიხარდა, რომ ასეთი წარმატებით დავტოვებ ჩემს რაიონს. ვაპირებ საერთაშორისო ურთიერთობებზე ჩაბარებას, მინდა დიპლომატი გავხდე და საქართველოს ინტერესები წარვადგინო საერთაშორისო ორგანიზაციებში. მინდა წარმატებული კარიერა გავიკეთო და ასევე ვემსახურო საქართველოს. ვეცდები, ყველაფერი გავაკეთო იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყანა წინ წავიდეს. ჩემი აზრით, სწორედ დიპლომატიით არის შესაძლებელი ჩვენი პრობლემების მოგვარება. მოკლედ, ჩემი წვლილის შეტანა მინდა ქვეყნის წინსვლაში. არ გამოვრიცხავ, რომ უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ მშვიდობის კორპუსის წევრი გავხდე. გულწრფელად მოხიბლული ვარ მათი მუშაობით. ბევრი რამ გააკეთეს კარგი და მინდა, მეც იგივე ვაკეთო ცხოვრებაში,“ - ამბობს სოსო.

სრულიად სხვა კონკურსში გამარჯვებულია მისი უმცროსი ძმა ლევან ჩუთლაშვილიც. მან ძალიან ცნობილ **FLEX**-ის გაცვლით პროგრამაში გაიმარჯვა და სრულიად უფასოდ ერთი წლის განმავლობაში ამერიკის შეერთებულ შტატებში სასწავლებლად გაემგზავრება. მან რამდენიმე შესარჩევი ტური წარმატებით გადალახა და მიმდინარე წლის აგვისტოში აშშ-ში გაემგზავრება და მასპინძელ ოჯახში იცხოვრებს.

ილია მარტყოფლიშვილი

სპექტაკლი ეთნიკური უმცირესობის და ქართველი ბავშვების მონაწილეობით

ის ამ რაიონში მეორედაა ჩამოსული, მიზეზიც თითქმის იგივეა, რაც პირველი ვიზიტისას - დგამს სპექტაკლს კვლავ მეორე საჯარო სკოლაში, სადაც ეთნიკური უმცირესობებიც სწავლობენ. სპექტაკლს ჯერ დედოფლისწყაროელ მაყურებელს აჩვენებს, შემდეგ კი უფრო ფართო სცენაზე გაიტანს. პირველად „ვარსკვლავბიჭუნა“დადგა, ამჯერად ჩარლზ დიკენსის „დოქტორ მერიგოლდს“ დგამს. მსახიობი ბავშვებით კმაყოფილია, არც მასპინძელ პედაგოგებს და შემხვედრ ოჯახს ემდურის.

რეჟისორი გეგა ქურციკიძე, ჩვენი რაიონისთვის უცხო აღარაა. ალბათ ყველას გვახსოვს, ორი წლის წინ კულტურის სახლის სცენაზე ჩვენი ბავშვების მიერ საკმაოდ მაღალი სამსახიობო ოსტატობით შესრულებული როლები. სპექტაკლი „ვარსკვლავბიჭუნა“, რომელმაც მაშინ მთელი რაიონის საზოგადოება აალაპარაკა, სწორედ რეჟისორმა გეგა ქურციკიძემ დადგა. ის მივლინებით ისევ დედოფლისწყაროშია და კვლავ სპექტაკლზე მუშაობს აქაური ბოშა და ქართველი მოსწავლეების ერთობლივი დასის მონაწილეობით.

-„ეს გახლავთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტი სამოქალაქო აქტიურობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, პროექტი 2011 წლიდან დაიწყო და ყოველწლიურად ფინანსდება, წელსაც, მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა შეიცვალა, განათლების სამინისტრომ კვლავ გააგრძელა აღნიშნული პროექტის დაფინანსება და აი, ისევ აქ ვარ, მეორე საჯარო სკოლაში, რადგან უმეტესად რაიონის მხოლოდ ამ სკოლაში სწავლობენ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები, კერძოდ კი ბოშები. პროექტი ემსახურება შემოქმედებით ფარგლებში ეთნიკური უმცირესობისა და ჩვენი, ქართველი ბავშვების ურთიერთთანამშრომლობას და ერთმანეთის მიმართ სიყვარულს. ამჟამად ვმუშაობთ და ვდგამთ „დოქტორ მერიგოლდს“ ჩარლზ დიკენსის მოთხრობის მიხედვით. სპექტაკლში მონაწილეობას იღებს 7 ბოშა და 10 ქართველი მოსწავლე. კმაყოფილი ვარ მათთან მუშაობით, კარგი ბავშვები არიან და რაც ყველაზე ძალიან მახარებს, უკვე ვხედავ შედეგს, მას შემდეგ, რაც პირველად დავდგი მათი მეშვეობით სპექტაკლი, ბავშვები გაზრდილან და ერთმანეთს შორის ურთიერთგაგება და ერთმანეთის მიმართ პატივისცემა ბევრად გაზრდილა. რაც ძალიან მახარებს, ჩვენი პროექტის მიზანიც სწორედ ესაა.

- საინტერესოა, ერთწლიანი პაუზის შემდეგ როგორი მოლოდინით შეგხვდნენ ბავშვები?

- როგორც გავიგე, ისეთი დიდი სიხარულით ელოდნენ ჩემს გამოჩენას, რომ გაოცებული დავრჩი, ამჟამად რუსთავის კულტურის ცენტრის რეჟისორი ვარ და ნამდვილად ღირდა ჩემი ჩამოსვლა, მოსწავლეების ენთუზიაზმმა, მათმა სცენარისადმი ინტერესმა და თავდადებულმა მუშაობამ ჩემზე პირველადვე კარგად იმოქმედა, ბავშვები ხომ ისეთი ხალასები არიან, რომლებსაც ჯერ ცხოვრებისეული თამაშის ელემენტებით გაფუჭებული არა აქვთ ფსიქიკა, ამიტომ მათგან ყოველთვის საკმაოდ დიდი მუხტი მოდის. ძალიან მომწონს ამ ბავშვებთან მუშაობა. მათში ვხედავ სიხარულის ნაპერწკალს და დიდ გამოცოცხლებას. მაგალითად, ბოშა ბავშვები თუ ორი წლის წინ ტექსტის სიმცირეს მთხოვდნენ, რადგან მისი დამახსოვრება უჭირდათ, ამჯერად იმდენად წინწასულია მათი შესაძლებლობა, რომ პირიქით, ითხოვენ და პრეტენზიასაც აცხადებენ, რომ დიდი მოცულობის ტექსტი მივაწოდო და მეტად დავტვირთო ისინი, ეს, რა თქმა, უნდა ძალიან დიდი პროგრესია. ამაში სკოლის პედკოლექტივსაც და მოსწავლეებსაც დიდი როლი მიუძღვით, თუმცა, თუ სახელმწიფოს ნება და ამხელა მხარდაჭერა არ იქნებოდა, შემოქმედებითი კუთხით, რა თქმა უნდა ეს ბოშები ისევ ისეთი დათრგუნულები იქნებოდნენ.

- რამდენადაც ვიცი "ვარსკვლავბიჭუნა" რაიონიდან ქალაქის სცენებზეც გაიტანეთ და გამარჯვებაც ერგო წილად ამ სპექტაკლს. თუ აპირებთ ამ ახალი სპექტაკლის გატანას რაიონის ფარგლებს გარეთ და ხომ არ არის პერსპექტივა, რამდენიმე ბავშვს სამსახიობო კარიერა ელოდეს?

- კი, „ვარსკვლავბიჭუნა“ თბილისში ვაკის სარდაფში წავიღეთ და დავდგით, სადაც მათ კონპეტენტური ჟიური ამოწმებდათ და პირველი ადგილი დაიკავეს, შემდეგ კი გახლდათ სახალხო დამცველთან შეხვედრა ეროვნულ ბიბლიოთეკაში, სადაც თქვენმა ბავშვებმა კვლავ წარმატებით გაართვეს თავი სპექტაკლის თამაშს. ძალიან სასიამოვნო განცდაა, როცა შენი ნაშრომი ფასდება, თანაც ორმაგად სასიხარულო, როცა ეს ბავშვებთან ხდება, ბავშვებს ხომ მთელი სიცოცხლე ახსოვთ და მუდამ გაჰყვებათ ეს ემოცია. რაც შეეხება სამსახიობო კარიერას, როგორც ჩანს, რამდენიმე მართლაც „მოვწამლე“, შევყარე სცენის მტვერის სენი, რადგან უკვე ვეღარ ელევიან ამ საქმეს. რამდენიმე მოსწავლემ უკვე გაამჟღავნა ჩემთან, რომ მას მსახიობობა სურს, რაც ძალიან მახარებს.

-ჩვენი რაიონის მოსახლეობა მოკლებულია იმ სიამოვნებას, რასაც მაღალი დონის თუნდაც მინი-სპექტაკლის დადგმა ჰქვია, კულტურის სახლს რეჟისორი ნამდვილად აკლია, რა აზრის ხართ ამაზე და რით შეიძლება ეშველოს ამ საქმეს?

- ერთი რეჟისორი ნამდვილად საჭიროა, თუ, მით უმეტეს, აუდიტორია ამას მოითხოვს და არსებობს აქტიური მაყურებელი. მე, პირადად, ჩემს გამოცდილებას გაგანდობთ, წარმოშობით ჭიათურიდან ვარ, მოვინდომე და ჩავატარე კონკურსი რეჟისორობის მსურველ ახალგაზრდებს შორის. მათგან გამოიკვეთა გამორჩეული ნიჭის მქონე ახალგაზრდა, რომლის სწავლის დაფინანსება ჩვენი შუამდომლობით რაიონის გამგეობამ აიღო თავის თავზე, სწავლის დამთავრების შემდეგ ის კურსდამთავრებული დაბრუნდა მშობლიურ კუთხეში და დღეს ჭიათურას ჰყავს საკმაოდ კარგი თეატრალური დასი, რომელიც თავისი კუთხის ხალხის კულტურულ ცხოვრებას ემსახურება. ეს საკმაოდ საინტერესო და საშვილიშვილო საქმეა. გადმოიღეთ თქვენც და რაიონის მომავალი თაობა დაგიფასებთ ამას.

- კარგით, როდის უნდა ველოდოთ დედოფლისწყაროს კულტურის სახლის სცენაზე მეორე საჯარო სკოლელების მიერ დადგმულ „დოქტორ მერიგოლდს“?!

- სავარაუდოდ ივნისის პირველ დღეებში, ასე 3 ივნისს ვგეგმავთ.

- გმადლობთ საინტერესო საუბრისთვის.

- პირიქით, მადლობა თქვენ დაინტერესებისთვის.

ლალი მეხრიშვილი

თურქული - სიმპტომები და მკურნალობა

1. როგორ უნდა მიხვდეს გელხი რომ პირტყვი თურქულითაა დაავადებული?

თურქული მწვავედ მიმდინარე, ინფექციური, გადამდები დაავადებაა.თურქულის მიმართ ამთვისებელი ცხოველი ყველა ასაკში ადვილად სენინდება. დაავადება მძიმედ მიმდინარეობს 2-3 თვის მოზარდებში.

ამთვისებელი ცხოველის ორგანიზმში საჭმლის მომნელებელი სისტემიდან ან კანის საფარველიდან მოხვედრილი ვირუსი ფიქსირდება ეპითელურ ქსოვილებში და იწყებს გამრავლებას, ვირუსის გამრავლება იწვევს ორგანიზმში საპასუხო რეაქციებს, რომლებიც გამოიხატება:

1. ცხოველის ორგანიზმში სეროზული ანთებითი პროცესით.
2. წარმოიქმნება პირველადი აფთი.
3. პირველი ლოკალიზაციის (აფთი) ადგილიდან ვირუსი შეიჭრება სისხლში, შემდეგ კი სხვა ორგანოებსა და ქსოვილებში. იწყება მწვავე ცხელებითი რეაქცია.
4. ვირუსი მრავლდება ეპიდერმისში — წარმოიქმნება მეორადი მრავლობითი აფთები პირის ღრუში, ჩლიქთა შორის ნაპრალში, ჩლიქის გვირგვინსა და ცურის კანზე.
5. ცხოველს უქვეითდება მადა, ნერწყვისდენა ძლიერდება, ცოხნა შეიძლება შეწყდეს, იწყება ცხელება — სხეულის ტემპერატურა 40,5 — 41,5 0ჩ — მდე აღწევს.
6. ზედა და ქვედა ტუჩებზე, ყბების უკბილო მიდამოში ლორწოვან გარსზე, ენაზე, ლოყების შიგნით ჩნდება აფთები.
7. დაავადებიდან 12-24 საათში აფთის კედელი სკდება, მათ ადგილზე, ახალი ეროზია წარმოიქმნება.
8. დაავადებული ცხოველი იწყებს უხვ ნერწყვდენას.
9. პროცესი რთულდება მეორადი ინფექციით.
10. დაზიანებული კიდურების გვირგვინში, სირბილეში და ჩლიქთაშორისი ხვრელის არეში ჩნდება, მტკივნეული შესივება, ცხოველი კოჭლობს და წევს.
11. შესიების ადგილებში წარმოიშობა აფთები, რომლებიც სკდება, მათში არსებული სითხე გარეთ გადმოიღვრება.
12. შეიძლება განვითარდეს ჩლიქის გვირგვინის ფლეგმონა, ღრმა ჩირქოვანი პოდოდერმატიტი, ჩირქოვანი ართრიტი, რქოვანი ბუნიკის მოვარდნა.
13. ზიანდება ცური, დვრილებზე წარმოიქმნება სხვადასხვა ზომის აფთები.
14. ანთებითი პროცესი აფთის გასკდომის შემდეგ ვრცელდება დვრილის ფუძისკენ და დვრილის რძის გამომტან მილში, რასაც მოყვება მასტიტი.
15. ლაქტაცია მკვეთრად მცირდება, ზოგჯერ სრულიად წყდება, აღდგენას ესაჭიროება თვე და მეტი ხანი.
16. ორ თვემდე ასაკის ხბოში თურქულის დროს აფთი არ წარმოიქმნება, დაავადება ვითარდება მწვავე გასტროენტერიტით, ზოგჯერ ბრონქოპნევმონიით.

2. რამდენად სწრაფად ვლინდება დაავადება და გამოვლენის შემდეგ მკურნალობა გვიანი ხომ არაა?

2. თურქულით ცხოველის დასნებოვნებისას 24 საათში აქვს ორგანიზმს რეაქცია, სისხლში მატულობს ბეტა და გამა გლობულინის რაოდენობა. მისი გამოვლენის სისწრაფე დამოკიდებულია ცხოველის მგრძნობელობასა და აღმძვრელის ვირულენტობაზე. ინკუბაციური პერიოდი 1-3 დღეა. მაგრამ შეიძლება 7 დღემდეც გაგრძელდეს, ზოგჯერ კი 14-21 დღე. გამოვლენის შემდეგ მკურნალობა გვიანი არ არის.

თურქულს ვმკურნალობთ შემდეგნაირად:

- დაავადებულ ცხოველს შევუქმნათ მშვიდი გარემო.
- ცხოველთა სადგომი განიავდეს.
- ქვეშსაფენი უნდა იყოს რბილი, რომ არ დაზიანდეს ჩლიქთაშორისი ნაპრალი.
- ცხოველმა უნდა მიიღოს წყალი ნებაზე (თავიდან რომ ავიცილოთ ორგანიზმის გაუწყლოება).
- დაავადებულ მცოხნავს, პირის ღრუ გამოვურეცხოთ იოდზეფის ხსნარით (ან სხვა დასაშვები სადეზინფექციო წყლით), დღეში 2-3ჯერ, 3-5 დღე, შემდეგი განზავებით: 10-20მლ-1ლ. ხსნარში (ნარევი გავხარჯოთ 40-60 წუთში). იოდზეფის ხსნარის შემდეგ სასურველია პირის ღრუში გამოვავლოთ გადადუღებული თბილი რძე.
- კიდურების დაზიანების თავიდან ასაცილებლად ჩლიქები გავასუფთაოდ იოდზეფის ანტისეპტიკური ხსნარით (30მლ-1ლ წყალში) 2 დღეში ერთხელ, დაზიანების შემთხვევაში კი -განზავება 30-50მლ-1ლ. წყალში, დამუშავება დღეში 2-ჯერ 3-5 დღე.

II —ადი ბაქტერიული ინფექციის საწინააღმდეგოდ ვიყენებთ ანტიბიოტიკებს:

მ.რ.პ თურქულის ავადმყოფობის კეთილთვისებიანი მიმდინარეობისას ავადმყოფობა გრძელდება 7-8 დღე, გართულების შემთხვევაში კი 20 დღე და მეტხანს.

მ.რ.პ და ნ.რ.პ —ს აცრა თურქულის საწინააღმდეგო ვაქცინით, თურქულის დაავადების ყველაზე კარგი პროფილაქტიკური საშუალებაა.

3. როგორც ვიცით თურქულზე აცრებს სახელმწიფო აფინანსებს, ანუ პროგრამით ხორციელდება ეს პროცესი, მაგრამ თუ აღნიშნული მომსახურება გივანდება, როგორ მოიქცეს ფერმერი: რა წამალი (სახელი კონკრეტულად და დოზა) გაუკეთოს პირუტყვს?

3. ვეტერინარულ აფთიაქებში უნდა იკითხოთ თურქულის საწინააღმდეგო ვაქცინა (აუცილებელია იყოს რეგისტრირებული საქართველოში და შენახვის პირობები დაცული) საერთოდ ჩვენთან არსებული ვაქცინებით გათვალისწინებულია შემდეგი დოზირება: მრპ — 2 მლ კანქვეშ, წრპ. 1 მლ —კანქვეშ.

ცხოველის ვაქცინაცია უნდა ჩატარდეს იმ სქემით, რასაც ითვალისწინებს ინსტრუქცია, კონკრეტულად მოზარდი (არსებული ვაქცინებით) იცრება 3 თვიდან, ყოველ 3 თვეში, ვიდრე არ შეუსრულდება წელიწადი და 8 თვე, შემდეგ კი 5-6 თვეში ერთხელ.

4. გარდა პრეპარატისა თუ არსებობს რაიმე შინაური და მიღებული მეთოდი პირტუყვის გამოსაჯანმრთელებლად?

კი არსებობს. პირის ღრუს და ჩლიქების დამუშავება შეიძლება მარილიანი და სოდიანი წყლით, ოღონდ, პირის ღრუს დამუშავების შემდეგ აუცილებელია საქონელს პირის ღრუში გამოვავლოთ ოთახის ტემპერატურის ანადუღარი რძე.

5. როგორ მოვიქცეთ რომ დაავადება სხვა პირუტყვსაც არ გადაედოს?

პირველ რიგში, აცრილი უნდა იყოს ყველა ცხოველი. თორემ დაავადებისაგან დაცვა ძალიან ძნელია. ელემენტარულად ფრინველმა-A-შეიძლება გადაიტანოს დაავადება 20 კმ-ზე და მეტ რადიუსში. აღარ ვამბობთ ავადმყოფი ცხოველის ჯანმრთელთან პირდაპირი კონტაქტით. ასევე, ვირუსით დასვრილი საკვებით, წყლით, ქვეშსაფენით, ნაკელით, ტრანსპორტით, მოვლის საგნებით და სხვა გარემოებებით.

საერთოდ თურქულის გაჩენის შემთხვევაში აუცილებელია დაავადების ლოკალიზაცია თურქულის კერაში და მის შემდგომი გავრცელების თავიდან აცილება. ამისთვის საჭიროა: 1) ადგილის დაკარანტინება. 2) ავადმყოფი ცხოველის იზოლაცია და მკურნალობა. 3) ყველა დანარჩენი თურქულის მიმართ ამთვისებელი ცხოველის პასიური და აქტიური იმუნიზაცია. 4) ყოველდღიური დეზინფექციის ჩატარება 2-3 დღის განმავლობაში იქ, სადაც იმყოფება ავადმყოფი ცხოველი და ამთვისებელი ცხოველი. 5) ნაკელის გაუვნებლობა (ბიოთერმულად).

6. დასაშვებია თუ არა დაავადებული პირუტყვის რძის პროდუქტების მიღება და რა ფორმით?

რძის მიღება დასაშვებია მხოლოდ ადუღებული ფორმით მაგრამ არ არის სასურველი (თურქული ადამიანსაც შეიძლება გადაედოს დაავადებული ცხოველის მოვლის დროს და უმი რძით).

მიხეილ ჭიჭაყუა,
"ასოციაცია მომავლის ფერმერის" მთავარი ვეტკონსულტანტი, ბიოლოგიის დოქტორი







შეიძინეთ ჰერბიციდები და ვენახის წამლები შპს აგროქიზიყის მაღაზიაში

6 თვიანი უპროცენტო განვადებით,

მხოლოდ პირადობის მოწმობით.

შეძენილი საქონლის მაქსიმალური თანხა შედგენს 5000 ლარს

„აგროქიზიყი"

გთავაზობთ

მსოფლიოში გავრცელებული მაღალ პროდუქტიული მერძეული და მეხორცული ჯიშის ბულის სპერმას

ჩვენი სპეციალისტები კონსულტაციას ადგილზე გაგიწევენ

პირველი 50 მსურველისთვის სპერმის ღირებულებასა და მომსახურებაზე გავრცელდება 50%-იანი ფასდაკლება

დარეკეთ ნომერზე:

599 56 71 31

„მე არც წარსულის, არც მომავლის არ მეშინია!“

უამრავი ლამაზი, შინაარსიანი, ემოციური ღონისძიება გამართულა ქ.დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის სააქტო დარბაზში. ბევჯერ მიგვიღია სულიერი თუ ინტელექტუალური ტკბობა ამ ღონისძიებებზე დამსწრეთ და კმაყოფილებს გვითქვამს: შესანიშნავია! სწორედ ასეთი შეფასება ხვდა წილად ამ დღეებში VII და IX კლასელების მიერ გამართულ პოეზიის საღამოს, რომელიც პოეზიის მეფეს-დიდ გლაკტიონს ეძღვნებოდა. ღონისძიება მოამზადა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ეთერ ოთარაშვილმა, რომელმაც აღდგომა მიულოცა დამსწრეთ და დიდი შოთას სიტყვებით „რაცა ღმერთსა არა სწადდეს, იგი საქმე არ იქნებისო“- გახსნა საღამო. სწორედაც, უფლის დიდი მადლი და წყალობა იყო თვით გალაქტიონის დაბადება, როგორც მოვლენა ქართულ პოეზიაში. სცენის სიღრმიდან მუხლზე დაყრდნობილი და ჩაფიქრებული გალაკტიონი იყურება, ტრანსპარანტზე კი ვკითხულობთ: „გზა, მეგობრებო, მობრძანდება გალაკტიონი!“ და მართლაც, იგი შემობრძანდა მთელი თავისი სიდიადით, მჩქეფარე ცხოვრებით, სიტყვაკაზმულობით, ტკივილითა და სიხარულით, ტრფობით და სინანულით, აღმაფრენით და უიმედობით, სევდით და იმედით და დაიპყრო მსმენელის გული და გონება. სცენაზე ერთმანეთს სცვლიან მოსწავლეები, რომლებიც გულწრფელი სიყვარულით მოგვითხრობენ გალაქტიონზე მისი დაბადებიდან ვიდრე აღსასრულამდე, როდესაც „ქვეყანა შეძრა სიკვდილმა მისმა, თხემით ტერფამდე იგრძნო ხალხმა დაკარგვა მისი “ და დღეს „სძინავს ბაღში სნორუპოვართ გვერდით, საქართველოს პოეტების მეფეს“.

„უცნაურ ვარსკვლავზე“ დაიბადა იგი 1891 წლის სუსხიანი გიორგობის თვის 17 რიცხვში სოფელ ჭყვიშში ახალგაზრდა მამის-31 წლის ვასილ ტაბიძის გარდაცვალებიდან 7 თვის თავზე. უმამობის ტკივილი გენიოს პოეტს მთელი სიცოცხლე გაჰყოლია. პედაგოგი მამის მიერ დატოვებული საკმაოდ კარგი საოჯახო ბიბლიოთეკა დიდი სულიერი საზრდო იყო გალაკტიონისა და მისი უფროსი ძმის -აბესალომისათვის, რომელმაც შემდგომში ასე დაახასიათა პოეტი: „ის დიდებულია, როცა მაღლა დაფრინავს, სასაცილოა, როცა ძირს, მიწაზე, ეშვება, ამიტომ ყველაფერი უნდა ვაპატიოთ, რადგან გვიყვარსო“. უაღრესად კეთილშობილ, განათლებულ, შრომისმოყვარე, ჰუმანური ბუნების მქონე გალაქტიონის დედას-მაკრინე ადეიშვილს, ცალულად დარჩენილს მოუხდა ორი ვაჟის აღზრდა, მაგრამ არაფერი დაუკვლია მათთვის. „მე მქონდა ძალიან კარგი, უდარდელი ბავშვობა“, - აღიარებდა თავად პოეტიც და დედის თბილი ლოცვა, სუნთქვა, მადლი და ნათელი გალაკტიონს სიცოცხლის ბოლომდე საკუთარი აჩრდილივით თან დაჰყვებოდა. მეტად მოძრავი, მოუსვენარი, ძალზე სწრაფი, გულკეთილი, მაგრამ, ამავდროულად, დედის დამჯერი ბავშვი ყოფილა გალაქტიონი, ძლიან ჰყვარებია წიგნი, კითხვა 6 წლისას უსწავლია, ჯერ დედა, მერე კი ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი იყო მისი განათლების კერა. წარჩინებით კურსდამთავრებული თბილისის სასულიერო სემინარიაში აგრძელებს სწავლას. აქტიური ახალგაზრდა, თანატოლებთან ერთად, გამოსცემდა ჟურნალ „შუქს“, რომელშიც რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდების ნაწერები თავსდებოდა. ამიტომ მას გარიცხვა დაუპირეს. იგრძნო რა საფრთხე, თვმოყვარე ახალგაზრდამ თავად მიატოვა სასწავლებელი: ბავშობიდანვე ეძახდნენ მას პოეზიის მწვერვალები: - ათი წლისას დაუწერია პირველი ლექსი „ნანგრევის საიდუმლო“, 23 წლის ჭაბუკმა, „უპოვარმა, უშოვარმა, ღარიბმა ქუჩის ბიჭმა“, როგორც მას ოლია ოკუჭავას-მისი მეუღლის მშობლები ეძახდნენ, დასტამბა პირველი წიგნი, რომელმაც მაშინვე დიდება და სახელი მოუტანა, „პოეტების მეფის“ გვირგვინი დაადგა.

- „ახალგაზრდებში გალაკტიონ ტაბიძეს უსათუოდ კარგი მომავალი ექნებაო“, - ინნასწარმეტყველა და არც შემცდარა „საქართველოს ბულბული“ აკაკი წერეთელი.

1915 წელს მას მოსკოვში, შანიავსკის სახელობის უნივერსიტეტში გაუგრძელებია სწავლა, მაგრამ უსახსრობის გამო მალე უკან დაბრუნებულა. ერთხანს მასწავლებლად უმუშავია სოფლის სკოლებში, მაგრამ არ ასვენებდა მუზა და ის უკუღმართად დანათლებული არაამქვეყნიურობა, რის „წყალობითაც“ მას შეეძლო, მთელი დღე და ღამე ჩაკეტილი ყოფილიყო კაბინეტში და ფიქრადაც არ მოსვლოდა, რომ ოჯახს პური უნდა, რომ ნავთი დიდი ხანია გათავდა.. სამაგიეროდ ერთმანეთის მიყოლებით იქმნებოდა შედევრები. მისი ქუჩაში გამოჩენა ქარაშოტს ჰგავდა, ააყირავებდა ყველაფერს, შეგძრავდა და გაქრებოდა, ტოვებდა ათასგვარ საფიქრალს, უცნაურ მითქმა-მოთქმას თუ გაოცებაში გადასულ ჭორებს. ასეთი იყო მეფე პოეტი, „მარტოობის ორდენის კავალერი“, შემოქმედმა დაანათლა გენიოსის გახელებული, მბორგავი სული, საოცარი გონებრივი შრომის უნარი, ერთი წამითაც არ უცხოვრია უზრუნველად, დიდი,გაუსაძლისი ტკივილის გარეშე. მისი დიდი ტკივილი მეუღლე-ოლია ოკუჯავა იყო, რომელსაც იმპერიის მანქანამ ციმბირის უღრან ტყეში დაალევინა სული. ფუჭი გამოდგა გალაქტიონის ვედრება: „მზეო თიბათვისა, მზეო თიბათვისა, ლოცვად მუხლმოყრილი გრაალს შევედრები, იგი, ვინც მიყვარდა წრფელი სიყვარულით, ფრთებით დაიფარე, ამას გევედრები, მკაცრი ქარტეხილი მას ნუ შეეხება, მზეო თიბათვისა, ამას გევედრებიო“, მაგრამ... ამაოდ! გალაკტიონის ტკივილი იყო თანამოკალმეთა ქიშპი და დაუნდობლობა: მწერალთა კავშირის I ყრილობაზე არ წაიყვანეს, „დაავიწდათ“. მეორე ყრილობის დელეგატებშიც „გამორჩათ“, როცა სიას გადახედა, გაოცდა თურმე მაშინდელი კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე და ბოლოში 54-ე ნომრად მიაწერა, მოსკოვში მაინც გაამწარეს.. პრეზიდიუმის წევრთა სიიდან ამოიღეს, მთვრალი მოვა და შეგვარცხვენსო.. მართლაცდა, ვაი, სირცხვილო. მისი ყრმობის ტკივილი იყო მაღალი წრის უმშვენიერესი ქალბატონი მერი შერვაშიძე, რომელიც ერთ მდიდარ ქართველს ცოლად გაჰყვა და საცხოვრებლად პარიზს გადასულმა მხოლოდ ყურმოკვრით იცოდა გალაკტიონის არსებობის შესახებ და არც არასოდეს დაინტერესებულა მისი ბობოქარი სულით, მისი ტკივილით, რომელიც ყველა დროის გაუხუნავი სატრფიალო - რომანტიკულ ლექსში „მერი“ აისახა.

და იყო გალაქტიონი მარტოსული, უმეგობროდ, უძეოდ, ედედმამიშვილოდ, სიკვდილმა წაართვა ერთადერთი ძმა - აბესალომი, რომლის ხსოვნის აღსანიშნავად სიკვდილამდე წვერს ატარებდა. სანთლად ერთადერთი ძმისშვილი ენთო - ნოდარ ტაბიძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის ყოფილი დეკანი, ტაბიძეებს რომ შეეფერება იმ დონის და სიმაღლის განსწავლული პროფესიონალი.

არ ასვენებდა გალაკტიონს სიყრმიდან ადევნებული თვითმკვლელობის დემონი: 19 წლისამ კარბონმჟავა დალია, 1952 წელს მტკვარში სცადა თავის დაღჩობა. 1959 წლის 17 მარტსაც თავისი სურვილით „გაშალა ფრთები“ და საავადმყოფოს მეოთხე სართულის ფანჯრიდან შეურთდა მარადისობას. იგი წავიდა ჩვენი ყოველდღიური, მშფოთვარე ყოფიდან, რათა მშობლიურ სივრცეთა უსასრულობაში, მშობელი ხალხის მარადიულ ხსოვნაში ეპოვა თავისი სამყოფელი. მთაწმინდისკენ ყვავილების ზღვაში მიცურავდა კუბო, რომელშიც „იწვა გალაქტიონი და არავის არ ჰგავდა“.

ასეთი იყო ფაბულა ღონისძიებისა, რომელიც მოსწავლეებმა მსმენელებს მაღალმხატვრულად წარმოუდგინეს. ეკრანზე ცოცხლდებოდა გალაქტიონის ცხოვრების ეპიზოდები, ერთმანეთის მიყოლებით დეკლამატორობდნენ ბავშვები, სხვანი ხან „წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალ ქარს“ უმღეროდნენ, ხან „ვერხვის ფოთოლთა თეთრ ლაშქარს“, ხან მერის სიყვარულით მეფე ლირივით ატირებულ უიმედოდ შეყვარებულ პოეტს უთანაგრძნობდნენ... მოსწავლეებმა გამოავლინეს არა მხოლოდ გალაქტიონის პოეზიის ცოდნა, არამედ სიყვარულიც, რაც დარბაზსაც ემოციურ მუხტად გადაეცა. სწორედ ამიტომ პედაგოგ ეთერ ოთარაშვილის მიერ დარბაზში გადასულ ლექსის ალავერდს მოჰყვა დიდი ემოცია მიხა ბახუტაშვილის და ცარო მარტიაშვილის მიერ წაკითხული შედევრების შემდეგ.

- საოცარი დღე მქონდა. სიამოვნებით სავსე ვარ და მიხარია, ამ დიდებულ ბავშვებთან შეხვედრა. მათ შემყურეს როგორ შეიძლება არ გქონდეს მომავლის იმედი. ბავშვი, რომელიც გალაქტიონზე იზრდება, არ შეიძლება უზნეო და ბოროტი იყოს. დიდი მადლობა ყველა მონაწილეს და მათ ორგანიზატორებს, - თქვა თავის გამოსვლაში ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა მეუფე მელქისედეკმა. ღონისძიებას ესწრებოდნენ აგრეთვე ბერ-დიაკონი მიქაელი და ილუმენი ონოფრე. თავისი ემოციები ვერ დაფარა გამგეობის კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა თამარ თამაზაშვილმა. სკოლის დირქტორმა მაია ლაპიაშვილმა მაღალ დონეზე შეაფასა ბავშვების ნამუშევარი და მადლობა გადაუხადა პედაგოგ ეთერ ოთარაშვილს, მუსიკის მასწავლებლებს: ხათუნა ფიროსმანაშვილს და მანანა სისაურს გაწეული შრომისათვის.

ნაირა გორაშვილი

საპასუხო წერილი სტატიაზე „სიდან პოლიტიკური ნიშნით ამოვილეს“

ლამარა დეისაძე ჩვენი დიდად პატივცემული ბენეფიციარი იყო. როდესაც მობრძანდებოდა -ხოლმე, რიგში არ ვაყენებდით, ვითვალისინებდით მის ასაკს და მდგომარეობას, შემოვიყვანდით, დავსვამდით სკამზე, ჩამოვართმევდით ჩანთას, ავუვსებდით და ვაცილებდით დიდი პატივისცემით. როდესაც ილია მარტყოფლიშვილისგან შევიტყე, რომ ის ჩემზე ნაწყენი იყო, ძალიან გამიკვირდა, არც მინდოდა დავჯერება, იმდენად კარგი ურთიერთობა გვქონდა. რა პოლიტიკურ ნიშანზეა ლაპარაკი, ორი წლის წინ მოვიდა და მითხრა: მე თბილისში მივდივარ დისშვილთან, კარგა ხანს დავრჩები და იცოდეო. ამ დროს ჩვენ არა გვქონდა უფლება, გვყოლოდა სიაში. რამდენიმე თვის შემდეგ ჩვენი ერთი ბენეფიციარის პირით შემოგვითვალა, რომ მისთვის პური გაგვეგზავნა. პური გავატანე და დავაბარე, რომ თუ უკვე აქ იყო, სიაში კვლავ შევიტანდი. მაშინ „ქართული ოცნება“ ჯერ არ არსებობდა. ამიტომ ჩემთვის მართლაც გაუგებარია, თუ რატომ აბრალებს პოლიტიკას?! ადრე საჭმელი მიჰქონდა და გოჰარას და ლუიზას, მერე თავისი სურვილისამებრ მოინდომა, რომ მათთვის აღარ გაგვეტანებინა. ასე რომ, მისი ბრალდებები უსაფუძვლოა და მიუღებელი ჩვენთვის.

ციცო დარჩიაშვილი,
სათნოების სახლის დირექტორი

ნაირა გორაშვილი და გოგი პოპიაშვილი, მარინა ნასრაშვილი და აკაკი ოზაშვილი ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ მარინა ბიკაშვილს შვილის და ნუნუკა ბიკაშვილს დისშვილის

ანა ბაკაშვილის

გარდაცვალების გამო.

ელზა და ელგა ხარაშვილები ოჯახებით, სალომე ნატროშვილი და შორენა მამულაშვილი, სამძიმარს უცხადებენ მარიკა და დალი მაძღარაშვილებს, მერიკო, როლანდ და ლანა მენთეშაშვილებს მამის

ნიკოლოზ (ნუკრი) მენთეშაშვილის

გარდაცვალების გამო.

თამარ აბულაძე და ილია ალხანიშვილი ოჯახით თანაგრძნობას უცხადებენ მარინა ბიკაშვილს შვილის

ანა ბაკაშვილის

გარდაცვალების გამო.

ანგელინა ღორაშვილი, იზოლდი ზედელაშვილი, ჟუჟუნა ჯაგაშვილი, ციური ბენაშვილი, ლალი მნათობიშვილი, მაყვალა პაპაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ლია ფიროსმანაშვილს დის და მარინა პოპიაშვილს დეიდის

ნათელა ფიროსმანაშვილ-ალადაშვილის

გარდაცვალების გამო

ლალი ხუცურაული, მარინა ქორიძე, ნათელა თამაზაშვილი, მარინა მეხრიშვილი, ეთერ ლობჟანიძე, ნუცა ალულიშვილი, ეკა გიორგანაშვილი, ბაბუცი ჯორკოშვილი, მანანა ცხვედიაშვილი, ნანა თავაძე თანაგრძნობას უცხადებენ მარინა ბიკაშვილს შვილის

ანა ბაკაშვილის

გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს რაიონული ბიბლიოთეკა თანაგრძნობას უცხადებს ლია ფიროსმანაშვილს დის

ნათელა ფიროსმანაშვილის

გარდაცვალების გამო.

ქ. დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლის 1999 წლის XI ბ კლასის კურსდამთავრებულები, მათი მშობლები, დაწყებითი კლასის მასწავლებელი ზეინაბ პოპიაშვილი, კლასის ხელმძღვანელი ეთერ ზურიკაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ანა ბაკაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ დედას-მარინა ბიკაშვილს.

ნუგზარ და ბელურა მაჩაბლიშვილები

იდეალური ბედნიერებაა, როდესაც ლამაზად, ბედნიერად, სიყვარულის მორევში ჩაფლულ ოჯახში ცხოვრობ, თანაც, თუ ეს ბედნიერება სიცოცხლის ბოლომდე ასე დაგიმთავრდება... სწორედაც ასე ვცხოვრობდით მე და ჩემი მეუღლე ბელურა. გვეყოლა სამი შვილი, ორი ვაჟი და ერთი ქალიშვილი. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ეს სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა. ნუგზარის დაოჯახების შემდეგ ეს სიხარულის, სიყვარულის კალათა მალე დაიწვა, მალე დაენგრა ჩემს შვილს ოჯახი, რამაც ძალიან იმოქმედა მასზე, ნერვიულობდა, შვილის უნახობა აწუხებდა. ყველაფერმა ამან დიდი ზეგავლენა მოახდინა, გაუჩნდა მოურჩენელი სენი, მალე, 48 წლის ასაკში ხელიდან გამოგვეცალა სათნო, კეთილი და გულმართალი ადამიანი. 27 მაისს ხუთი წელი სრულდება, რაც დედას შვილი აღარ უნახია. ესეც არ მაკმარა ღმერთმა და შვილის სიკვდილით გამწარებული მამაც გარდაიცვალა, რომელიც ნამდვილი ვაჟკაცი იყო, რომ იტყვიან ადამიანში-ადამიანიაო. პირობას გაძლევთ ჩემო ქმარ-შვილო, თქვენ ყოველთვის ცოცხლები იქნებით ჩვენს გულებში მანამ, სანამ თქვენი დარჩენილი საგვარეულო იარსებებს ამ ქვეყნად.

ციცინო გონაშვილი

ულოცავენ!

ირაკლი შიოლაშვილს!

თამარ შაფათავას!

გილოცავთ ოჯახის შექმნას, გისურვებთ ბედნიერებას და აკვანთა სიმრავლეს. დაე, სიყვარული გაგყოლოდეთ ცხოვრების მანძილზე და ღვთის მფარველობა დაგბედებოდეთ!

პატივისცემით,
ია მარტყოფლიშვილი, ელენე ბაიაშვილი,
ნინო ფიროსმანაშვილი, ნატო ვარდიშვილი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელოვნების სკოლის დირექცია ულოცავს ქალბატონ **ნინო ბახუტაშვილს** და სამუსიკო განყოფილების პედაგოგებს: **ნინო სვანიძეს, ნინო ლაპიაშვილს, ნინო ალადაშვილს, ნინო მანჯაფარაშვილს, ნინო ნიკვაშვილს, ნინო რობიტაშვილს და ნინო გოგოლაურს** წმინდა ნინოს ხსენების ნათელ დღეს და უსურვებს ამ ქალბატონებს შემოქმედებითი დღეების სიუხვეს.

ყურადღება

მჭირდება მოხუცი ქალბატონისთვის მომვლელი ქალი 55 წლის ასაკამდე სადღეღამისო დროით. მსურველებმა დარეკეთ:
599 19 39 98
ერეკლეს ქ.N 24. ფასი შეთანხმებით.

5 ოქროს მედალი კიკბოქსინგში

26 მაისს ქ. ბოლნისის კულტურის და სპორტის ცენტრმა და ტაილანდური კრივის ფედერაციამ საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად ჩაატარა ტურნირი კიკბოქსინგში. სტუმრად მიწვეულ გუნდებს შორის იყო დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კიკბოქსინგელთა გუნდი თამაზ ყარაგვეზაშვილის ხელმძღვანელობით.

სასიხარულოა, რომ შეჯიბრმა დედოფლისწყაროელი სპორტსმენებისთვის წარმატებულად ჩაიარა და 5 კიკბოქსინგელი პირველი ადგილით დაბრუნდა.

როგორც მთელ საქართველოში, ბოლნისშიც სპორტის სხვადასხვა სახეობებში შეჯიბრებები ღია ცის ქვეშ ტარდებოდა. კერძოდ ბოლნისის პარკში შეჯიბრებების მსვლელობა რამდენიმეჯერ წვიმამ შეაჩერა, შემდეგ კი გამოიდარა და ყველაფერი ჩვეულ რიტმში გაგრძელდა.

რამდენიმე დედოფლისწყაროელ სპორტსმენს მასპინძელთა საუკეთესო კიკბოქსინგელებთან მოუწია შერკინება. მართალია ბოლნისელთა მხარდაჭერა და ოვაციები მათ მხარეს იყო, მაგრამ დედოფლისწყაროელებმა შეძლეს უპირატესობის მოპოვება და მსაჯთა ობიექტური შეფასებაც დაიმსახურეს.

პირველი გამარჯვება ჩვენი გუნდიდან მალხაზ ჯაგაშვილმა იზეიმა. პატარა მალხაზი საოცრად ენერგიული და მშრომელი ბავშვია, ძალიან უყვართ თანაგუნდელებს და ყველას უხარია მისი წარმატებული სვლა დიდი რინგისკენ.

ასევე მსაჯთა მოწონება დაიმსახურა დავით ჯინაშვილმა, მან თავისი ჩვეული სიმშვიდით და ოსტატობით, ტექნიკური ილეთების ლამაზი გამოყენებით დაამარცხა მოწინააღმდეგე.

სასიხარულოა, რომ რინგს დაუბრუნდა დედოფლისწყაროელი სპორტსმენი გიორგი წიკლაური და დიდი პაუზის შემდეგ ბოლნისის შეჯიბრზე საუკეთესოდ იასპარეზა გამოცდილ მოწინააღმდეგესთან და ქულების უპირატესობით დაამარცხა. გიორგი დაუბრუნდა კიკბოქსინგს ახალი გეგმებით. იმედებით და მალე ვიხილავთ მის გამოსვლას ჩვენი რაიონის რინგზეც.

ტურნირზე ერთ-ერთი საუკეთესო ბრძოლა შედგა იოსებ ზოიძის ბოლნისელ სპორტსმენთან. სოსო უკვე ზედიზედ რამდენიმე შეჯიბრის გამარჯვებულია და არც ახლა გაუცრუა იმედები გულშემატკივართ. მისი გამოსვლა საკმაოდ ეფექტური საბრძოლო ილეთებით და დარტყმებით გამოირჩეოდა, ბრძოლის დინამიური მანერით კმაყოფილი დარჩა მაყურებელიც და მსაჯებიც. იოსებმა მეტოქეს ყველა რაუნდი მოუგო.

იოსებ ზოიძე დედოფლისწყაროს გუნდში ჩემპიონის და სასაზღვრო პოლიციის მე-4 სამმართველოს ღირსებას იცავს, ვინაიდან იგი სპორტსმენიცაა და მესაზღვრეც.

ბოლნისის პარკში თავმოყრილი კიკბოქსინგის მოყვარულნი მოუთმენლად ელოდნენ გოგონათა გამოჩენას რინგზე და მათი იმედებიც გამართლდა. მართლაც ლამაზი საბრძოლო სანახაობა დადგეს გოგონებმა. ისინი ერთმანეთს ტოლს არ უგდებდნენ და პატარა ტექნიკურ შეცდომას ერთმანეთს არ პატიობდნენ, მაგრამ დედოფლისწყაროელმა თამარ ჩიბუხაშვილმა მოახერხა და ზუსტი დარტყმების რაოდენობით უპირატესობა მოიპოვა ბოლნისელ კიკბოქსინგელ გოგონასთან, რის შემდეგაც გამარჯვება იზეიმა.

ტურნირზე გამგზავრება საკუთარი ხარჯებით მოხერხდა, რისთვისაც კლუბი „ჩემპიონი“ სპორტსმენების მშობლებს მადლობას უხდის.

ნუგზარ ყარაგვეზაშვილი

საქართველოს ჩემპიონატი უშუ-ში და 3 ოქროს მედალი

18-19 მაისს გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი უშუ-ში, სადაც კახეთის უშუს რეგიონალური ფედერაციის ნაკრები გუნდიც იმყოფებოდა და საკმაოდ წარმატებით ისასპარეზა. დედოფლისწყაროელმა სპორტსმენებმა გუნდურ ჩათვლაში 3 პირველი, 6 მეორე და 3 მესამე ადგილი აიღეს.

როგორც ფედერაციის პრეზიდენტმა გიორგი ცისკარაულმა გაზეთ „შირაქს“ აცნობა, პირველ ადგილებზე გავიდნენ გიორგი ფიდუაშვილი, ასლან გორგიშვილი და ნიკა ჩიტიშვილი, ამ უკანასკნელმა უკვე ზედიზედ მეორედ მოიპოვა საქართველოს ჩემპიონის ტიტული და სპორტის ოსტატი და საქართველოს ნაკრების წევრიც გახდა.

მან ორი ბრძოლა აშკარა უპირატესობით მოიგო და ლამაზი ტექნიკური ბრძოლისთვის ფედერაციის ხელმძღვანელობის მოწონებაც დაიმსახურა.

მეორე ადგილებზე გავიდნენ: ნიკა უმურშატიანი, ლევან წიკლაური, ლევან თეთრაული, ისლამ მაჩალიკაშვილი, სერგო პეტროსიანი და ილია დაიაური.

ილია დაიაურმა პირველი ბრძოლა გამართა საქართველოს უნივერსალური ბრძოლების ფედერაციის წარმომადგენელთან, რომელიც რამოდენიმე წამში უძლიერესი შეტევით ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა და გამოთიშა ასპარეზობას, ხოლო ფინალურ ბრძოლაში საკმაოდ გამოცდილ ქუთაისელ სპორტსმენთან დამატებით რაუნდში მხოლოდ რამდენიმე ქულის სხვაობით დამრცხდა და მეორე ადგილს დასჯერდა, ეს ბრძოლა ასევე დასახელდა შეჯიბრების საუკეთესო ორთაბრძოლად.

მესამე ადგილები წილად ხვდათ გიორგი მარტყოფლიშვილს, გიორგი კეკიშვილს და ლუკა პოპიაშვილს.

შეგახსენებთ, რამდენიმე თვის წინ უშუ-ს კახეთის ფედერაცია დედოფლისწყაროში განთავსდა. ისინი ადგილობრივი ბიუჯეტიდან არ ფინანსდებიან, რის გამოც სხვადასხვა სახის პრობლემები ხშირად აქვთ.

ილია მარტყოფლიშვილი

გამოსათხოვარი

ანა ბაკაშვილი

მისი ცხოვრება ბავშვობაში ზღაპრის წიგნებიდან ამოკითხულ ერთ ფრაზას ჰგავს - „იყო და არა იყო რაო“, რომ წერია... მართლაც იყო და აღარ არის.

წარმოუდგენელია მისი მისამართით გამოიყენო სიტყვა „გარდაიცვალა“... ხალისიანი, კლასელების სული და გული-ასეთად დარჩება ანა მეგობრების გულში.

ეს კვირა დედოფლისწყაროსთვის განსაკუთრებით სევდიანია. დიდი დანაკლისია რაიონისთვის და ჩვენთვის, მისი მეგობრებისთვის ანას ამქვეყნიდან ასე მოულოდნელი წასვლა. წარჩინებით დაამთავრა სკოლაც და უნივერსიტეტიც, შემდეგ სამაგისტრო პროგრამა სოციალურ მეცნიერებათა ცენტრში საერთაშორისო ურთიერთობების განხრით. წარმატებული კარიერაც ჰქონდა - თბილისის იუსტიციის სახლში მუშაობდა.

ძალიან კარგი ადამიანი, ნიჭიერი, კეთილი-ეს ის ეპითეტებია, რომელიც მის დასახასიათებლად და პორტრეტის შესაქმნელად გამოდგება. მისი გულღია, მხიარული ხასიათი, გულისხმიერებასა და სიკეთესთან შერწყმული ადამიანებს აღაფრთოვანებდა, მასთან ერთად ყოფნა კი ყველას სიცოცხლის სურვილს უღვივებდა. ამიერიდან მის თანაკლასელებს ანას ხსოვნა გაგვაერთიანებს, ხსოვნა და დიდი ტკივილი, რომელსაც დრო ვერ გაანელებს და მთელი ცხოვრება დაგვრჩება...

თანაკლასელები

ამინდი — დედოფლისწყარო

შაბათი 01.06	კვირა 02.06	ორშაბათი 03.06	სამშაბათი 04.06	ოთხშაბათი 05.06	ხუთშაბათი 06.06	პარასკევი 07.06
დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე
23 ° 16 °	23 ° 18 °	19 ° 16 °	18 ° 17 °	19 ° 18 °	21 ° 18 °	17 ° 16 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა გოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ. პ. ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
551 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.

C M Y K